„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია იქნება 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 27. გვირა, 24 ივლისი 1905 წლისა. № 27.

რედაქციისაგან: ვისაც სვედრი ფული არ შემოუტანია, შემდეგი ნომრიდან რედაქცია გაზეთის გზავნას შეუწყვეტს.

შინაარსი: ურთიერთობა გაწყვიტა.—ერობა, ნ.—ვასი. სხვადასხვა ამბები.— რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—ფელეტონის ნაგვიანი, ეშმაკისა.—ნაციონალური დღესასწაულები ბელგიაში. ი. გ.—ასე ჩვენ ვანახეთ, კ. ანდ—შვილისა.— რედაქციისაგან.- ბურჟუა და პროლეტარი.— დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა, ცეტკინასი.—საიარი დადგენილება, დიმიტრი დუმბაძისა.

ურთიერთობა გამწვავდა!

იყო დრო, დრო ნეტარხსენებული, როდესაც ჩვენს «ღვთისმშობლის ხვედრ საქართველოში» მამა-პაპური სიდარბაისლე, ქეიფი, დროს ტარება და „მრავალ ჟამიერი“ მეფობდა. იყო ასეთი დრო და მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა. ამ „კეთილ ძველ დროში“ ჩვენი «ტურფა საყვარელ სამშობლოს“ გონებრივ და ზნეობრივ დიდებას და სიამაყეს შეადგენდენ «ბურჯნი საქართველოისანი», განათლებული, უმაღლეს სწავლა დამთავრებული ხუთიოდე ინტელიგენტის ჯგუფი, რომელსაც თავი ღმერთებათ მოეკონდათ და სრულიად დარწმუნებულნი იყვენ, რომ თვითეულ მათი «მოღვაწეობისა» მთელი ქვეყანა—საქართველო დაიღუპებოდა და მამა პაპური ადათი და კეთილშობილობა გაქრებოდა, ვითარცა შარშანდელი თოვლი. კარგი დრო იყო ეს დრო: ღმერთები ოლიმპზე ფუფუნებას და მცონარეობას მისცემოდენ, „საზოგადოება“ კი (საზოგადოებათ მაშინ მხოლოთ თავად-აზნაურობა მიაჩნდათ) ქვემოდან შეჰყურებდა სასოებით და გულდრეკს უკმევდა მათ. საქართველოს გაუმარჯოსო», გაისმოდა ყველგან და ასეთი ძახილი უშინაარსო, უგუნური, ტლანქი და ცინიკური, დიდ საქმეთ და გმირობათ მიაჩნდა მაშინდელ მოღვაწეებს. ყველანი კმაყოფილი იყვენ მაშინ და არავითარი მოძრაობა არ არყევდა ჭაობსავით გაჩერებულ ცხოვრებას. ასეთი იყო ეს დრო მაშინდელ „საზოგადოებისათვის“.

ამავე დროს, ამავე „ტურფა სამშობლოში“ ზემოხსენებულ „საზოგადოებას“ გარდა სცხოვრობდა ნამდვილი ხალხი—ქალაქის მუშები (რომელთა რიცხვი მაშინ, რასაკვირველია ახლანდელზე გაცილებით მცირე იყო) და გლეხკაცობა. მართლნი საქართველოისა, ოლიმპის ღმერთები არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ამათ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ იმდენათ აინტერესებდათ მათი არსებობა, რამდენათაც სოფლის დედაკაცს მეწველე ფურის არსებობა აინტერესებს. მუშა ხალხი კი, „მოღვაწეების» მიერ ათვალწუნებული და ყურადღებათ დატოვებული, გონებრივათაც და ქონებრივათაც სიღატაკეში ჩავარდნილიყო. არც ერთი ცხოველი სიტყვა, არც ერთი ნათელი აზრი მათ დუხჭირ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არსაით არ მოისმოდა და არსაით არ მოსჩანდა. ყოველგვარ სულიერ მოთხოვნილებას მოკლებულნი იყვენ ესენი და მათი ცხოვრება გაჩერებულიზღვის, ზეთივით დამდგარ ზღაპარს მოგაგონებდა.

ერთი მხრით უძრავი ჭაობი, მეორე მხრით მიძინებული ზღვა—ასეთი იყო იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების სახე. დრო გამოშვებით თუ მოიქროლებდა სუსტი გამამხნევებელი ნიავი რომელიმე ახალგაზრდა, გულწრფელი მოღვაწის სახით, —ეს ნიავი მხოლოთ ჭაობის ზედა პირს შეანძრევდა ხოლმე და უფრო აშკარა და საგრძნობელი ხდებოდა მაშინ ჭაობის სიღრმეში მომწყვდეული სიმყრალე. ადამიანი მეტის მეტი ოპტიმისტი უნდა ყოფილიყო, რომ მაშინდელ დროის შემხედვარეს ახლო მომავლისთვის რაიმე სანუგეშო ეწინასწარმეტყველებია. მარა საქმე სულ სხვაფერ დატრიალდა.

საქართველოში ფეხი მოიკიდა ახალგაზრდების ერთმა თავგანწირულმა ჯგუფმა, რომელიც მთელი თავისი ახალგაზდული ენერგიით და ღრმა რწმენით შეუდგა საქმეს და მუშაობა გაჩაღდა. ეს ჯგუფი „მესამე დასის“ სახელით მონათლეს და როგორც იციათ ამ სახელს დღემდისაც უწოდებენ მას ჩვენს „პრესაში“. არ გასულა სულ ცოტა ხანი, ამ მესამე დასის დაარსების შემდეგ, რომ მიძინებული, თითქო მკვდარი ცხოვრება შეინძრაო. გაჩნდა ომი, ომი დაუნდობელი ძველი დროის დამცველთა და მესამე დასს შორის. უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა მებრძოლნი ძველი კერპების დამსხვრევას შეუდგენ—ჭაობის ამოშრობას მიყვეს ხელი: შეუდგენ ბურჯების ფიზიონომიის გამორკვევას, გაჰოაშკარავეს მათი „მოღვაწეობის ნამდვილი ხასიათი, ერთის სიტყვით ყოველი მხრით გაუთხარეს არხი ძველ ჭაობს და ჩაირეცხა საუკუნოებით თავმოყრილი სიბინძურე. ამავე დროს იგივე მესამე დასი არ ივიწყებდა ხალხისნამდვილ ინტერესებს და პირველმა მან შეიტანა ნათელი სხივი მის ბნელ ცხოვრებაში. მძინარე ზღვამაც გაიღვიძა, აღელდა და მშრომელმა ხალხმა, მალე იცნო თავისი ნამდვილი მეგობარი. თან დათან მრავლდებოდა ახალი მოძღვრების მიმდევართა რიცხვი და მუშა ხალხის ინტერესების დამცველთა დროშის ქვეშ უფრო და უფრო მეტი ჩაგრული იყრიდა თავს.

თუმცა ძველი კერპები დაიმსხვრა, მარა მათი ალაგი სავაკანსიოთ არ დარჩენილა. გამოჩნდენ მათი პირდაპირი მემკვიდრეები—ახალგაზრდა ბურჟუა-ნაციონალისტები, რომელთაც თანამედროვე ხულიგინების როლი იკისრეს და ერთი ერის მეორე ერზე წვასინინებას და მისვლას მოყვეს ხელი. ერზე და ეროვნებაზე ყვირილმა ყურები გაბოუყრუა ყველას. მათ ნებსითი თუ თუ უნებლიეთ, „ველიჩკიძეებს“ და სხვა ასეთ „მოღვაწეებს“ მიბაძეს და ხალხის ყველაფერ უბედურებას ნაციონალურ ინ-

ტერესების წინააღმდეგობაზე ამყარებდენ. ამათ მხოლოთ ჩვენ თავად-აზნაურობაში და ბურჟუა-ინტელიგენტებში იშოვეს გასა ვალი, მუშა ხალხი კი მუდამ შორს, გაუზომელ მანძილზე იყო მათგან. რატომ? იმიტომ რომ იგინი გონებით ბრმები იყვენ, ხალხის ნამდვილ, ძირითად ინტერესებს ვერ ამჩნევდენ. ნაციონალურ შეღავათების მოთხოვნით და გახორციელებით ფიქრობდენ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამათაც არა ერთხელ იგემეს ეგრეთ წოდებული მესამე დასელების იერიში, რომლის ძალას, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ვერ უძლებდენ იგინი.

ცხოვრება შეიცვალა. ვეებერთელა რუსეთის მიდუნებული მაჯის ცემა აჩქარდა. ქვეყანა გამოფხიზლდა და ახლომომავალი თავისუფლების წითელი სხივით შეიღება. არეულობა, მოედო მთელ რუსეთს და ჩვენმა კავკასიამაც მედგრათ გაიწია წინ უკეთესი მომავალისაკენ. პროტესტანტების რაზმში პირველი ალაგი, რასაკვირველია, პროლეტარიატმა დაიკავა და მისი პარტია ყველაზე ეფრო მძლავრი და შეურყეველი შეიქნა სულიერათ. ქალაქის მუშა ხალხი და სოფლის გლეხობაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მუშათა ინტერესების დამცველებს შეუერთდენ და აი, სწორეთ აქ დაიწყო ის, რაც მოსალოდნელი იყო.

ჩვენმა ბურჟუა-ნაციონალისტებმა დაინახეს რომ მომქმედი ძალა, მუშა ხალხი სხვა მხარეზეა; მიხვდენ, რომ მათ დაუგვიანებიათ, შეხედეს აზვირთებულ ცხოვრებას, და როგორც კრილოვის კუდამელას მწიფე ყურძნის დანახვაზე—ისე მსუნაგათ გაუბრწყინდათ თვალები და „პირს ნდომის ნერწყვი მოადგათ“. მარა გვიან ღა იყო: ხალხმა გაასწრო მათ ცხოვრებაში და იგინი ხალხის მაჩნჩალა ღა დარჩენ. არც აქ გაუტყდათ გული ჩვენ ბურჟუა-ნაციონალისტებს. მათ წამს იცვალეს ფერი: დაიწყეს მუშა ხალხზე ლაპარაკი, დასწერეს ერთი ორი მოწოდების წერილი ქართველ მუშათადმი, ერთი სიტყვით თავიანთი თავი დემოკრატებათ გამოაცხადეს; ამითაც არ დაკმაყოფილდენ და ზოგიერთი მათგანი სოციალისტების მომხრეებიც გახდენ და თავის უმთავრეს ლოზუნგათ საქართველოს ავტონომიც აღიარეს...

აი მოკლეთ ჩვენი ფედერალისტ-ავტონომისტების ჯგუფის ევოლიუციის ისტორია. ჩვენ დაგანახეთ, რომ იგინი საქართველოს ძველი ბურჯების პირდაპირი შთამომავალნი ყოფილან. მათ თავისი პირდაპირი, ბურჟუაზიული ინტერესები ფსევდო-დემოკრატიულ ქერქში გახვიეს, რომ ასეთი ოინით მეტი მომხრე გადაიყვანონ თავისკენ. იქნებ იგინი გულწრფელად თვლიდენ თავის თავს მშრომელი ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველათ! იქნებ მართლა სურთ და სწამთ იმათ სოციალიზმი? ამ უკანასკნელ კითხვაზე უკვე დაიბეჭდა წერილი ჩვენ ჟურნალში (იხ. „მოგზ.“ № 26, წერილი ბ. სან—(დონისა) იმ წერილში აშკარათ გამოირკვა, რა ნაირათ და რა საშვალებით ფიქრობენ ჩვენი ფედერალისტები სოციალიზმის გახორციელებას. *)

ასეა თუ ისე, რას ნიშნავს მათი ფეხმოკლე დემოკრატობა, მუშა ხალხის მოწოდება და ავტონომიისაკენ ლტოლვილება დიდი ხანია გაიგო ხალხმა. [illegible] არ არის ის დროც, როდესაც ცრუ დემოკრატიული ქერქი ანაზდეულათ შემოეკლებათ და ნაჭუჭიდან ტიპიური ბურჟუა-ნაციონალისტები გამოგორდებიან, სწორეთ ისეთნი, როგორიც არიან შთამომავლობით. გადაივლის თუ არა ეს დემოკრატიზმის სეზონი, მოისპობა თუ არა ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა—ჩვენი ნაციონალისტები და ერთი იმათ მაგვარი პარტია, რომელმაც დღეს ხელი გაუწოდა მათ და თავის ფრთას ქვეშ შეისვა, როგორც კრუხი შეისვამს წიწილებს—ერთბაშათ განცვიფრთებიან, გაკვირვებით დაუწყებენ ცქერას ერთმანერთს და მწარე საყვედურის კილოთი წარმოსთქვამენ: ბიჭოს! გამარჯვება შენი.... მართალი ყოფილა ანდაზა. „არა შეჯდა მწყერი ხესა—არა იყო გვარიმისიო“ და ხმა-გაკმენდილი ჰკრავენ თავს ბურჟუაზიის და ისევ ბურჟუა-ნაციონალისტების ბანაკში. ჩვენს ფედერალისტებს ძალიან უხარიათ როცა მათ დემოკრატებს უწოდებენ; მაგრამ ვაი თქვენი ბრალი, თუ მათი საიდუმლო გამოამჟღავნეთ და ქვეყანას ცალ-ცალკე დაანახვეთ მათი ნიღაბი და მათი ნამდვილი სახე. მაშინ მათ ბრაზს და რისხვას საზღვარი არა აქვს. როგორ თუ ჩვენ გვაგინებთ? როგორ თუ გვლანძღავთ? იცით ვინა ხართ თვენ? თქვენ უზრდელები, სალახანები ხართო, მოგვდგებიან გაფთრებული ავტონომისტები—სწორეთ ისე, როგორც გენერალ ოტავტონომიი „ივერია“ მოგვდგა 122 ნოემერში. დიახ, გაგინებთ ბატონებო! თუ გნებავთ გლანძღავთ კიდეც, „ბატ. ივერიავ“! გაგინებთ და გლანძღავთ, რადგან თქვენ და თქვენისთანებს ნებისიერი თუ უნებლიეთ გინდათ ძირი გაუთხაროთ ხალხის მომავალს. თქვენ თქვენი ცრუ დემოკრატობით გსურთ გზა-კვალი აუბნიოთ ხალხს და ჩვენ კი ვერ მოვითმენთ ამას. ვერ მოვითმენთ, რადგანაც არ გვინდა, რომ ნამდვილი კლასობრივი ინტერესების შეგნება დაუბნელდეს ხალხს და თქვენ მიერ წამონასროლ ცრუ ლოზუნგის ანკესზე ერთი რა ირის, ყრთი კაციც წამოეგოს. იქნებ, აქაც გვისაყვედუროთ: არ შეიძლება ამ დასელებმა კლასთა ბრძოლის გაზეპირებულ ფრაზებით არ დაიწყონ ყოყოჩობაო! დიდ ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, რომ ჩვენ ჩვენი პრინციპები როგორც გეტყობათ, გვაქვს და ამ პრინციპებს ვერ ავსკდებით; თქვენ კი უპრინციპობა გირჩევნიათ და ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ! ხოლო, რომელი სჯობია: პრინციპიანობა თუ უპრინციპობა—„ამაზე პასუხს ჩვენ აღარ მოგვცემთ“, დეე, მკითხველმა გასაჯოს...

*) ახირებული სოციალიზმი ყოფილ მათი სოციალიზმი! მათ ურდათ ხალხის გამდიდრებით (sic!) დაამყარონ სოციალიზმი! არ გაგეცინათ, მკითხველო? მარა აქ სასაცილო რა არის? განა ტყუილს ამბობენ ბატონი ფედერალისტები? მშვენიერი საშვალებაა. თუ ყველა მუშები მდიდრები და კაპიტალისტები გახდებიან, იმას რაღა სჯობია? აი მაშინ უნდა ნახო სერი! თითოეულ მუშას თავისი ჭარხანა აქვს, მანქანები შეუსვენებლათ ტრიალებენ... მაგრამ ვინღა იმუშაოს ამ ჭარხნებში? ალბათ, თითონ ფედერალისტები იკისრებენ ამ საძნელო საქმეს, რათა თავიანთი სოციალიზმი არ გაუბათილდესთ, ან და ახლანდელ ბურჟუა კაპიტალისტებს ჩაამაშენ საქმეში შურის საძიებლათ.

მომავალი ერობა.

II

როგორც წინა წერილში ვთქვით, ჩვენთვის წარმოუდგენელია რაიმე შედეგის მიღწევა დღეს ისეთი კერძო რეფორმებით როგორიც არის თუნდ ერობის შემოღება. დღეს **რეფორმები** კი არ არის საჭირო და ხალხის მიზანი, არამედ ერთი, მაგრამ **ძირითადი რეფორმა—ხალხის** ცხოვრების განთავისუფლება და მთელი სისტემის შეცვლა, უეჭველათ ხალხისავე ინიციატივით და მეოხებით. რამდენათ ამას უარყოფს რომელიმე რეფორმა ანუ რეფორმატორი, იმდენათ დაშორებულია იგი მიზანს. ასეთია ჩვენი აზრით მომავალი ერობის საქმეც, ასეთია, რადგან როგორც მისი შემუშავების საქმე ის მომავალი წესდებაც წოდებრივი და ქონებრივი ცენზის ნიადაგზე არის დამყარებული. ამას არაფერს უშველის არც ზოგიერთ „რადიკალთა“ მიერ განზრახული განათლების

ცენზის შეტანა, ხოლო კიდევ უფრო დააშორებს ხალხს და ცხოვრებას ის საზომი, რომელსაც რუსული ანუ, უკეთ ვთქვათ, სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნას შეიტანს საქმეში და რომელიც განზრახული აქვთ მოხსენების შემდგენელ (იხ. „მოხსენება“ გვ. 18). დღევანდელი მოძრაობის დევიზია „ძმობა-ერთობა-თანასწორობა“, რომელიც უნდა დაამყაროს თავისუფლებამ, მაგრამ სულ უმცირესი რომ ავიღოთ **თანასწორობა** მაინც უნდა მოყვეს მას. მომავალი ერობა კი ამასაც არ გვიქადის, რადგან დღეს წოდებრივ ნიადაგზე იწყება მუშაობა მის განსახორციელებლათ, ხოლო ცენზი აუცილებელ პირობით არის მიღებული მომავლისათვის და ამ გზას არ უღალატებენ არც საგუბერნიო და არც სამაზრო სათათბიროები, რადგან თვით ისინი ამ ქონებრივ უთანასწორობის ნიადაგზე იქნებიან შედგენილი. აქ არ იქნება გამოთქმული ხალხის აზრი, რადგან დღეს ხალხს არცა აქვს აზრის გამოთქმის უფლება, და პირიქით ყოველი ზომაა მიღებული, რაც გამოითქვა, ისიც ამოიშალოს ისტორიის ფურცლებიდან. არ შეიძლება ხალხის აზრის გაგება და გამოთქმა სანამ არ არის მიღებული სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლება. ყოველივე ეს კი, როგორც მოგეხსენებათ სასტიკათ აკრძალულია, და ყოველი „თავისუფალი მოაზრე“ კარგავს თავისუფლებას! სადან უნდა გამოირკვეს ხალხის აზრი? მაგრამ ვთქვათ გამოირკვა. მერე, ვისთვის არის იგი სავალდებულო? არავისთვის. მას მხოლოთ „მხედველობაში“ მიიღებენ კითხვის საბოლოოთ გადაჭრის დროს, რაც სრულებით არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ამ აზრის თანახმათ გადაწყდება კითხვა; პირიქით, უფრო მოსალოდნელია, რომ აზრი აზრათ დარჩება, ხოლო საქმე ისე მოეწყობა, როგორც საჭიროთ და უმჯობესათ დაინახავს ხალხს გარეშე მდგომი ბიუროკრატია. თუ ასე არ იყოს, განა საკმაოთ გამოკვლეული და გამორკვეული არ არის დღეს მთელი რუსეთის ხალხის აზრი, როგორც საერთო სახელმწიფო ორგანიზაციის, ისე თვითმართველობის შესახებ! ნუ თუ, აშკარა არ არის, რომ ის ხალხი, რომელიც თხოულობს დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კერჭის ყრით, თვითმართველობის საქმეშიაც სრული დემოკრატიზმის შეტანას მოითხოვს. მაგრამ არა, ძველი რეჟიმი ამას გარედან მონაბერათ, აი იმ ,,დაუდეგარი და ყოველივე წესიერების **მოწინააღმდეგე** ელემენტების'' გავლენით მიღებულათ თვლის, **რომელთაგან** ერობის საქმის დაცვაც თხოვეს მოთათბირეებს. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა, ,,დინჯი'', ,,დარბაისლური'' მსჯელობა ,,დარბაისელთა'' და მით ,,ნამდვილი ხალხის'' აზრის გაგება. მაგრამ ზოგის, საუბედუროთ და დანარჩენთა საბედნიეროთ, დღეს გვიანღაა ამ ხერხის მოშველება. მშრომელი უმრავლესობა უფრო მტკიცეთ, ხოლო მოწინავენი არა-მშრომელთაგან უკვე დარწმუნდენ, რომ სწორეთ ეს ,,დაუდეგარნი'' არიან ცხოვრების მეთაურნი და ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველნი; იგინივე არიან წესიერებისათვის მებრძოლნი, რადგან ამ წესიერების დამყარება შეიძლება მხოლოთ მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებით და ცხოვრების ფეოდალურ-ბიუროკრატიული ბორკილებისაგან განთავისუფლებით.

მეტია ასეთ დროს იმის ძიება, თუ რომელი წლის წესდება უფრო შესაფერი იქნება დღევანდელ დღისათვის— 64-ის, 90-ის თუ 903-ის, რომელნიც უკანდახევის ტიპიურ ილუსტრაციას წარმოგვიდგენენ. დღევანდელმა ცხოვრებამ იმდენათ გაასწრო ყველა ამ წესდებებს, რომ მათზე ლაპარაკი შეუძლებელია და ვერც მათი დაპაჩინკება უშველის საქმე. უნდა დავივიწყოთ თვით სიტყვა ერობაც, რადგან მასთან დაკავშირებულია მძიმე წარსულის მოგონება, ამ წარსულის მიერ წარმოშობილ უთანასწორობის ორგანიზაციაა და ამას შეუძლია აზრის არევ-დარევა. უმჯობესია ერქვა პარაკოთ ადგილობრივ თვითმართველობაზე და გავითვალისწინოთ, როგორი უნდა იქნეს ის მომავალში.

თვითმართველობის მთავარი პრინციპი არის ორი: 1) ის უნდა განაგებდეს დამოუკიდებლათ ყველა საქმეებს, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ და შეეხიდეს ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციას მის საზოგადო დაწყებულებათა განხორციელებაში. 2) ეს თვითმართველობა უნდა სრულდებოდეს ყველა ადგილობრივ მცხოვრებ მკვიდრთა მონაწილეობით. ამ რიგათ თვითმართველობა უნდა იყოს, რაც შეიძლება **სრული კონპეტენციით** (მართვის საგანი) და **წმინდა დემოკრატიული**.

ნ. —ვა.

სხვა და სხვა ამბები.

— კახეთის მევენახეთა საზოგადოებას „კახეთს“ უსაფუძვლოთ და უდანაშაულოთ რამდენიმე მუშის დათხოვისათვის თფილისის მუშათა ორგანიზაციამ ბოიკოტი გამოუცხადა. საზოგადოების გაჭგეობამ 19 ამ თვეს „ანონნაში“ მოიწვია თფილისის რესტორანების და ბაღების პატრონები პირის-პირ მოსალაპარაკებლათ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, მაგრამ კრება არ შესდგა. ოცდა ერთ ივლისს სალამოს 7 საათისათვის გამგეობამ საზოგადოების შენობაში ხელმეორეთ დანიშნა კრება თფილისის გუბერნატორის ნებართვით და პოლიციის თანადასწრებით. რესტორანების პატრონებისთვის საზოგადოებას აზრათ ჰქონდა აეხსნა დათხოვნილი მუშების დანაშაულობა და ბოიკოტის უსამართლოთ გამოცხადება. კრებაზე დასწრების სურვილი დათხოვნილმა მუშებმაც განაცხადეს, მაგრამ გამგეობამ ნება არ მისცა და საზოგადოების შენობის წინ თავმოყრილი მუშები, ვაჭრები და ხალხი პატრულებმა და პოლიციელებმა გარეკა. საზოგადოების კრება არ შესდგა. საკვირველია საზოგადოების საქციელი და ჯიუტობა,—ყოველ დღე მას საგრძნობელი ზარალი მოდის მაგრამ მუშათა კანონიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მაინც არ უნდა. სჩანს, გაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპს მაგრათ მოუკიდია ფეხი კახეთის მემამულეთა საზოგადოებაში.

— 17 ამ თვეს, სოფ. ქარელის მახლობლათ სოღოლაშენიდან მომავალ ვ. გ. ინასარიძეს თავს დასხმია ეგრეთ წოდებული «თავად-აზნაურთა მილიციის“ პატარა რაზმი. მილიციონერებს ჯერ თოფები დაუმიზნებიათ, შემდეგ ცხენებით კინაღამ გაუთელიათ და დასასრულ მათრახები დაუშენიათ.

— როგორც ,,ივერიას'' შეუტყვია, კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს დაუმტკიცებია ბ-ნი ვეიდენბაუმის პროექტი. ამ პროექტის ძალით გლეხებმა მემამულეებს მოსავლის მეოთხედი უნდა აძლიონ. ნეტავი გლეხები როგორ მოიწონებენ ამ დამტკიცებას, რომელიც ეხება მათი მოთხოვნილებათა პირველ მნიშვნელოვან მუხლს. როგორც ვიცით გლეხები მხოლოთ მეათედს აძლევენ ადგილის პატრონებს, რაზედაც ბევრმა მათგანმა გაზეთის საშვალებით თანხმობა გამოაცხადა.

— კავკავის რკინის გზაზე მუშათა გაფიცვები მოხდა, რამაც რამოდენიმე ღღით შეაჩერა მსვლელობა. მუშები თხოულობდენ 8 საათის სამუშაო დღეს; ჯამაგირზე რვა პროცენტის მომატებას და ამასთანავე ბინის ფულს. ხსენებულ გზაზე სხვათა შორის ტელეგრაფისტებიც გაფიცულან.

— ქართლში გლეხთა დასამშვიდებლათ გაგზავნილი გენერალი ამილახვარი დაბრუნდა. ახლა, როგორც ზოგიერთი სოფლებიდან იწერებიან, გლეხთა მოძრაობა უფრო მოსდებია ქართლის სოფლებს და თან და თან ვრცელდება.

— ამას წინათ მუშტაიდის ბაღში სეირნობის დროს, ვიღაც უცნობმა პირმა რევოლვერით დასჭრა უნინ ზედამხედველი სანაკიძე.

—საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი რიბინსკი უკვე შეუდგა თავ. ხერხეულიძის ვაჭრის შესახებ გამოძიებას. პასუხის გებაში არიან მიცემული ინგუში აბას ხასჩიროვი და პოლიციელი გონჩაროვი. გუშინ გამომძიებელმა ჩენება ჩამოართვა თფილისის ყოფილ პოლიცმეისტერს კოვალიოვს და პოლიელს ჯაიშვილს, რომელმაც დაიჭირა ხერხეულიძე და პოლიციაში მიიყვანა.

დაბა-სოფლის ამბები

ქ. ნუხა. ნუხაში ასამდე ფაბრიკა-ქარხანაა. უმეტესი ნაწილი აბრეშუმის სახვევი ქარხნებია, დანარჩენი კი თუთუნის ფაბრიკებია მუშაობს ოთხი ათასამდე კაცი, ქალი და ბავშვები, რაც წლიდამ დაწყებული. მეტად ხუტანელ მდგომარეობაშია ხალხი მუშა. ჩვენ თავი და თავი ეურადღება აბრეშუმის სახვევ ქარხნებს უნდა მივაქციოთ. ეს ქარხნები ძალიან ანტისანიტარულად არიან მოწყობილი: რა უნდა იყოს თქვენ წარმოიდგინეთ დიდი ოთახი აწრილებული მძორით და დამხვდი ლუშით სამსე. თუ შედით შიგ, ორ-წუთზე მეტს გერ დაჰყოფთ. უნდა უკან გამოტრიალდეთ, თორემ სიშინელი სუნი გულს შეგიხუთავთ. სწორედ ამისთანა სურათს წარმოადგენს ხალხი ქარხანა. სადაც შემდეგში მდგომარეობს: ამ ქარხნებში ახვევენ აბრეშუმის ძაფს ბარკეტებში. ბარკეტში უკეთია (აბრეშუმის ჭიები) დამხვდილ ეს ჭიები ხუტანელ გასაწყრში ქარხანაში მოშუშავს. ქარხნებში არ არის მოწყობილი ვენტილაციები ჰაერის გასაწმენდათ და ამა წარმოიდგინეთ რა უნდა მოელოდეს მომუშავეს. შეხედავთ მუშას, რომელიც სულ ოცდაერთი, ოცდაორი წლისა უნდა იყოს და რას დაინახავთ: ადრე დაბერებულს, მისუსტებულს, ჩამოუვითლებულს და ჭლექით ჩავარდნილს. იმ ასაკში, როდესაც კაცი უნდა იფურჩქნებოდეს, ჰგვანდეს და დონით იცხებოდეს.—ეს ინდუსტრიის მონები ჭკნებიან და სიცოცხლე ესპობა. ქარხანამ აქ სრულიად დაიმონა მუშა, ავტომატათ აქცია. გარდა ქარხანაში მუშაობისა სხვა არაფრის ნიჭი აქვს ალაჯ მუშას. აი რა მიამბო ერთმა შეკნებულმა მუშამ: «ჩვენ ვმუშაობთ დილის ოთხ-ხათიდან; დაჭრას თუ არა დუდუკი, უნდა ავდგეთ დარტანებული, მოქანცული წინა დღის მუშაობით წავედეთ და ვიმუშაოთ სალამოს რვა ხათამდის. ეკ არის შუადღისას ერთი ხათით ბურის საჭმელათ გვაშვებენ ჩვენი სამუშაო მეტათ ძნელი და უტანელია. ჩვენ ურევთ ხელებს ოთხმოც გრადუსიან, გატხელებულ წყალში, ვიღებთ ძაფს და შემდეგ მანქანით ვახვევთ. ჩვენ ცხელი წყალი გვიფუფქავს და გვწვავს ხელებს. აი! დახედეთ ჩემს ხელებს რად გამიხდა ეს მუშაობით. მან გადაშალა ხელები, ბირდაბირ შესახარი სურათი წარმოიდგა: ხელი სულ მთლად დასიებული ჰქონდა. დაფუფქული ტყავი დაჭბურტყებოდა და ცრიოთ გადაჭგრილა, ეხლა მე ისე გარ დამონებული ამ ქარხანისაგან, რომ მართლა აი ეს სიტყვა შემიძლია ვასრულო. სახლში რა გინდა: უბრალო ჩხირის გადაბრუნება არ შემიძლია; ზამთარში სიცივეთ რომ გვკვდებოდე—არ შემიძლიან შუა დავაბა. აქ ხომ ხედავთ რა სიძვირეა სანოვაგის და სხვა საცალებელ ნივთების. უთუოთ უნდა გაისარჯო, ეარსებინო იცხოვრო, სახლში ბერა მაინც უნდა გამოაცხო, რომ ეკ საცალებელი მოთხოვნილება მაინც მომზადებული გქონდეს, მაგრამ არც ეკ შემიძლია. ხელები დაბეჟებული მაქვს და ასე არაფერში ვარგვარ დანარჩენ საქმისათვის. ყველა ამ უბედურებისათვის, რომელიც აქაურ მუშას ხვევს, რა საფასურს გვაძლევს? ათასურს დღეში, ერთიათ წარმოსთქვა მან, ე. ი. იმდენს, რითაც შეიძლება დღეს სამშიდით არ მოკვედე და ხვალ სამუშაოთ გამოცდეკ. ასეთ შიმშილ და ამ ფულით აცხოვრე ცოლ-შვილი... მაშინ ჩემი ცოლიც ძიძაღ ბულია იმუშაოს. თუმცა ისიც იმდენს მუშაობს, რამდენსაც მე, მაგრამ იმის ფასი აბაზზე და ექვსშაურზე მეტს არ აიწევს. ისიც ისევე მონავდება, როგორც მე და ახლა წარმოიდგინე ჩვენი კვნებრვება. ჩვენ აძულებული ვართ მივაბარათ ქარხანაში შვილი, თუ რვა წელს მაინც წავს, იმის მაგიერათ რომ სკოლაში გავგზავნოთ. ამიტომაც არის რომ ჩვენში ტიტის იცის წერა-კითხვა.

ყველა ჩვენგანი ნატრობს სიკვდილს, რომ ასცდეს ჯოჯოხეთს. რას ამბობ? ცხოვრება თავისას თხოულობს. სად წახვალ? ან სად წაუხვალ იმ მუქთა-ხორებს, რომელნიც ჩვენ სისხლს და ხორცსა გვწოვენ! ჩვენის ოფლით მონაგარს სიმდიდრეს, ჩვენის დაბერებულ და დაბერცულ ხელებით შექმნილ საქონელს, ჩვენის ჯან-ღონით, ოფლით გაკულენთილ ოქრის ჯიბეში იჩხრიალებს და სიამოვნებით დაჰზედ და წვერებზე ხელს იცაცუნებს! შეხედეთ ჩემ ამხანაგებს რასა გვან! ას კაცში ძლიან ათიათად ოცი გადურჩება სიკვდილს, ე. ი. წლექს. ყველას საშინელი გულის ფრიალი გვაქვს. ორშაბათ ით ნაბიჯს ვერ გავიარებენთ, მაშინვე გულის ფრიალი აკეთვრდება და სამუშაოთ ადარ გამოკდეგებით. ყველას გული ძლიან სუსტი აქვს მეტის-მეტი მუშაობით და ამ უსუფთაობით, რომელიც აქ სუფევს. ერთი სიტყვით ქარხანა ჩვენი სამარეა. ამას წინათ შევჩივლეთ მაზრის უფროსს, დაუსურათეთ ჩვენი გაჭირვებული ეოფა-ცხოვრება და ვთხოვეთ, რომ ცოტა მაინც ჯალაბმა ჩვენი ხაზეინების თვალსწრულობა, ის მოელაპარაკა მათ და სთხოვა ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობა. იმათ რასაკვირველია დაიწუნეს, რომ ვკოტრდებითო; აბრეშუმი მარსელში გავგზავნეთო და არ იყიდებაო. ერთის სიტყით თავიანთ დათიებს მოჰკვეს. ბირდაბირ სასაცილოა მაგათი ქცევა. ეკვი სულ მაგრე გაიძახიან, ვკოტრდებითო, გაიხედავ სახლი ვინ აშენა? ხაზეინმა... ბანკში ფული ვინ შეიტანა? ხაზეინმა... როგორც იყო მოგვარაგეს და ისე ცოტა დაგვთმეს, რომ მაგასაც არც კი დირს დაპარაკი,. მაგრამ ასრულდებენ?!

საინდისის ექსპლოატაციას აქ უმიღეს წერტილამდე მიაღწია. ინდუსტრია წვრილ-ბურჟუაზიის ხელშია და ხომ მოგეხსენებათ, თუ როგორ უსვინდისოთ იქცევიან ეს ვაჭრ-ბატონები, რომ თავიანთი ჯიბე გაიქსელონ. მრავალ ქარხნისაგან დამახინჯებულ და სამუშაოთ გამოუსადეგარ მუშას შეხვდებით. შეხვდებით ტიტველა ბავშვებს, რომელნიც გამქელ-გამომქელს ტარიდით ხელს უშველენ სათხოვნელათ. ვინ არიან ესენი? ვისი შვილები არიან ეს საცოდავი ბავშვები? ნელა გამოსაცნობი არ არის... ჰკითხეთ თითონ ბავშვებს ან დამახინჯებულ, სამუშაოთ გამოუსადეგ მუშებს, რომელნიც ზოგიერთა აძულებულია ამათხოვროს. ესენი არიან დამახინჯებული, ან სიცოცხლეს ადრე გამოსალმებული მუშების შვილები. ესეთ მდგომარეობაში არიან ნუხის მუშები.

Inter.

—

დ. ნაოლალევი. ივნისის მაზრა.—15 ამ თვეს აქაურ მცხოვრებთ პირველ საათზე ესტუმრენ ბათუმში და ზუგდიდში «პოდეიული» შევიწროს რაზმის კაზაკები, რომელთაც ახლდენ საპოლიციის პოლკში უმცროს აფიცრათ ჩარიცხული თ. ნ. დადიანი და წალენჯიხის ბოქაული მ. ასათიანი. ასეთი მოულოდნელი მობრძანება გამოუწვევია იმ ამბავს, ვითომც დ. ნაოლალევში ხალხს წითელი ალროშა ეშვას, დაელეწოს ყველა სასამართლოები და შემდეგ ს. სალხინოში პრინცესა სალომეს სასახლე დაენგრიოს. ზემოხსენებული რაზმი გამოსულა ზუგდიდიდან 14-ს, სალამოს 10-ს საათზე. ნაოლალევის მახლობლათ კაზაკების მოსვლამ ხალხში ქალების კივილი გამოუწვია. ყველა დიდი და პა-

ტარია გარბოდა მოედნიდან და გისასყიდლათ ჩამოტანილი ხილი იქვე რჩებოდათ. უფროსებმა ადგილობრივ პრისტავთან მოისვენეს. უკანასკნელისათვის მოულოდელი იყო მათი აქ მობრძანება. ის ელოდა სენაკიდან ,,პლასტუნებს'', რადგანაც მაზრის უფროსის განკარგულება ასეთი იყო. რამოდენიმე წუთის შემდეგ ,,პლასტუნებიც'' მოვიდენ ხალხი კი ამ დროს სოფლათ გახვეწილიყო. ღამე ცხენები გაეშვა რამოდენიმე კაზაკს და ერთ მოსახლისთვის ყანები გაეფუჭებინა. აგრეთვე სოფლელების გაჩხრეკაც კი მოინდომეს ღამით, მაგრამ ამაზე ადგილობრივი ბოქაული დვალი და ,,პლასტუნთა'' ,,პოდესაული''—ზინჩენკო, არ დათანხმდენ. შემდეგ შევჩენკომ მოითხოვა მამასახლისი და დეპუტატები და უთხრა: «თქვენ მაწანწალა და „პრახვოსტებო'' გატყუებენ, გღუპავენ, მოგვეცით ისინი და თქვენ აღარ დაგსჯითო, თორემ, თუ კიდევ მოახდინეთ კრება, მთელს სოფელს გავანადგურებო'', ,,ჩვენ არ ვიცით, სად იმალებიან ,,პრაპაგანდისტებიო'' უთხრა ყველამ. მეორე დღეს დილით შებრძანდენ ცხენებზე და წავიდენ ს. მუხურში. ,,პლასტუნები'' ჯერ-ჯერობით აქ არიან. სულ 52 კაცია.

ამ წერილს, რომ ვსწერდი, გავიგე, რომ ს. სალხინოს, პრინცესას მამულში ვიღასაც ღამით ლეჩხუმელი მუშებისთვის ბუჩქებიდან თოფი უსვრია და მიმალულა. მეორე დღეს შეიარაღებული უცნობები მისულან და უთქვამთ „თუ თავი არ დაანებეთ მუშაობას—დაგხოცავთო.» ერთი მუშათაგანი გაულახავთ. მუშები შეშინებულნი არიან, თავს ანებებენ. როგორც გავიგე, მთელი სოფელი უკმაყოფილო ყოფილა მათი. დღიურ მუშას 40 კ. აძლევს თურმე. ხარჯიც მუშისა არის. მათ მამულებზე ბასილაია ლამბიები ცხოვრებენ. ეხლა მათ თურმე პრინცესა აყრას უპირებს.

პარ-დონ.

—

ს. საყულია (ქვეიო იმერეთი). გლეხთა მოძრაობა აქ მარტიდან დაიწყო. ხირველთა ბოიკოტი გამოუცხადეს სოფლის სამმართველოს და სკოლას. შემდეგ სისტემატიურათ ახდენდენ კრებებს და ბაასობდენ თავიანთ ჭირ-ვარამზე. ამოირჩიეს ასისთავები და ათისთავები მათ თავ-თავის დროზე ხალხის შეკრება და სხვა სოფლის საქმეები. 3 ივლისს თავი მოიყარა ერთათ სრულიად და ოფიციალის მცხოვრებლებმა, რიცხვით 2000-დე კაცმა იდაბარაკეს თავიანთ ჭირ-ვარამზე და შეამუშავეს შემდეგი მოთხოვნილებანი.

1. შემოღებულ იქნას თავისუფალი მმართველობა, საყოველთაო, ხირდაუბერი, დახურული და თანასწორი ხარჩევით ხმის უფლებით.

2. სავალდებულო უფასო სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვებისთვის 16 წლამდი.

3. გაუქმდეს მუდმივი ჯარი და შემოღებულ იქმნას საყოველთაო შეიარაღება საჭიროების დროს.

4. მოისპოს ხირდაუბერი და არა ხირდაუბერი გადასახადი, მის მაგიერათ დაწესდეს გადასახადი შემოსავლის კვალობაზე. 500 მ. ნაკლები შემოსავალი ვისაც ექნეს, განთავისუფლდეს მისგან.

5. გაუქმდეს წოდება. ე. ი. არ იხმარებოდეს სიტყვები: „თავადი", „აზნაური", „გლეხი". არამედ ყველას ეწოდოს თავისუფალი მოქალაქე.

6. დაუბრუნდეს გლეხებს ის ადგილები, რომელიც მათ ჩამოაცალეს ბატონყმობის გაუქმების დროს.

7. სახელმწიფო და საკლესიო ტყეები და სახნავი ადგილები გადაეცეს გლეხთა საზოგადოებას თავისს სასარგებლოთ.

8. სასოფლო გზების კეთება დაევალოს ყველას.

9. დაწესდეს ხირთვნების და სანთლოვრებელი ბინის ხელფასდებლობა, სვინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, გადაცვის და კავშირის თავისუფლება.

10. გაუქმდეს ეკლესია სახელმწიფოსგან და დაწესდეს ქრისტიანული ეკლესიისაგან.

და 11. დამფუძნებელი კრების მოწვევა ხალხის მიერ საყოველთაო, ხირდაუბერი და თანასწორი კენჭის ერით. ამის შემდეგ ათორიათე ორი წითელი დროშა და მარსელიეზის სიმღერით დემონსტრატიულათ გაიარეს უმთავრესი ქუჩა. სადამოს ექვს საათზე დემონსტრაცია გათავდა და ხალხიც დაიშალა.

—

დ. ყვირილა. ყველა იგნებს ახლანდელ ხოლიტიკურ-სახოგადოებრივი წეს-წყობილების უკუღმართობას და ყველგან უკრთდებიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. სადაც იკრიბება ხალხი ყველგან თავუსუფლებაზეა ლაპარაკი. ყოველი საქმე ამხანაგურათ ირჩევა და ადმინისტრაციას მთელი ზემო იმერეთი ჩამოცილდა. სკოლები ყველგან დახურეს, გაიფიტენ მასწავლებლები და მოსწავლენი მარტიდან. ქურდობა, ავაზაკობა, ღოთობა, კარტის თამაში და სხვა ცუდი ჩვეულება ძლიერ შემცირდა. სოფლებში ყოველ კვირაუქმე დღეებში ეკლესიის გალავანში იკრიბებიან და არჩევენ მომჩივან-მოპასუხის საქმეებს ან მედიატორებისა საშვალებით და ან ამხანაგურათ. დამწყარი კინტელარიების მაგიერათ დაიქირავეს კერძო შენობები, მარა შაგ მამასახლისისა და მწერლის მეტს გარავისა ნახავთ. ნახევარჯერ არც ისინი არიან. მეტათ ცუდი დრო დაუდგა მათ. გულდაწყვეტილი იგონებენ ამ დროს, როცა დოქებით დვინო, შემწყარი დედლები და ხაჭაპურები იმდენი მოსდიოდათ, რომ ჭამას ვერ ასდიოდენ. ქრთამი და ბეჭდის ფული ხომ სხვა იყო. 17 ივლისს აქაურს ეკლესიაში აუარებელი სახოგადოების თანადასწრებით გადახდილ იქმნა ხანაშვიდი საშა წულუკიძის სულის მოსახსენებლათ. ხანაშვიდის შემდეგ წარმოითქვა რუსულ-ქართულათ სიტყვები, რომლითაც აქაურებს გაუცნეს მისი მოდგაწეობა შუა ხალხის გათვითცნობიერებისა და სახოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. შემდეგ დაირიგეს ფურცლები და მსურველთ მიეცადეს მისი სურათები.

ხალი.

—

რ უ ს ე თ ი.

როგორც ხმა დადის, შინაგან მინისტრათ ოფიციალი თავ. სვიატოპოლ მირსკი, რომელიც ამ ჟამათ პეტერბურგში იმყოფება, სახელმწიფოს საბჭოს წევრათ ინიშნება (ნ. ჟ.).

—

,,ს-პეტერ. უწყებებს'' რუმინიიდან ატეობინებენ, რომ 100 მატროსი, რომელიც ჯავშნიან ,,პოტიომკინიდან'' კონსტანცში გადასხდენ, გადაცა გამგზავრებულან; 200 მატროსი, ქალაქ სოხუტაში შაჭრის ქარხანაში შესულან, 100 კაცი, ქალაქ ვალჩაში ცნობილმა კრეჩენსკიმ სამსახურში მიიდო, ხოლო 80—ათრში წავიდენ, სადაც მათ ეკატალზე აუარებელი ხალხი ელოდა. რუმიანის ახალგაზრდობამ და მრავალმა სტუდენტებმა, იმავე დღეს, რესტორან „ბერტო-რეჩში", ოფიციალ მატროსების საცხოვრო ნადიმი გაუმართეს.

—

როგორც გაზეთ „დეი ჟურნალს" გამოუგზავნიათ, ჯარების შესანახავათ, ქალაქ დოქს დღეში 3000 მან. ეხარჯება თურმე.

—

ამას წინეთ გაზ. „სლოვო" ატეობინებდა თავის მკითხველებს, რომ 1 ივლისს, როცა სტატ-სეკრეტარი **პობედონოსცევი** ცარსკოე სელოდან პეტერბურგში დაბრუნდა, ვიდაცა კაცმა ამის მოკვლა განიზრახა. ამის შესახებ „ვრაჩებულ. ვედ." შემდეგ გადმოგვცემს: 6 ივლისს, დღის 12 საათზე ცარსკოე სელოდან პე-

ტერბურგში მოვიდა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი. როდესაც პობედონოსცევი ვოკზალიდან გამოდიოდა, იმასმა თანამგზავრმა ეურავლება მიაქცია ერთ კაცს, რომელიც მოუსვენრათ აქეთ-იქით აწუდებოდა. იმის ბრძანებით ჟანდარმმა ეს კაცი, როგორც სავსებით ბირი, დაუპატიმრა დაპატიმრებული რკინის გზაზე არსებულ ჟანდარმთა განეოფილებაში მიიყვანეს, სადაც გულმოდგინეთ გაჩხრიკეს და უპოვნეს... **მხოლოთ ცხვირსახოცი**. დაპატიმრებული აღმოჩნდა თერძი ალექსანდროვი. თურმე იმ მატარებლით ცოლშვილს ელოდა და რაღგანაც არ მოვიდნენ იმიტომ იყო მოუსვენრათ.

—

როგორც გაზეთი «ნაშა ჟიზნი» კადმოგვცემს, **გერმანიის სოციალ დემოკრატებს** გაუმართავთ ხედის მოწერა თავის თანამოაზრე, **რუსეთის სოციალ-დემოკრატების** სასარგებლოთ. რამოდენიმე კვირაში შეგროვებულ 100,000 მარკა. გერმანიის კონსერვატიული ორგანოები დაჟინებით თხოულობენ თურმე, რომ ეს ფულის შეგროვება აიკრძალოს. ის წერე, რომელიც კანცლერ ბიულოვთან ახლო არის ამის შესახებ თავდაჭერილათ დაპირებიან.

—

6 ივლისს, დილის 2 საათზე და 40 წუთ., როდესაც ერთი გემი კრონშტატიდან ორიენბაუმში უნდა წასულიყო, მოიჩქარა მეშვიდე ფლოტის ეკიპაჟის ერთმა მატროსმა, რომელიც მივიდა დახლთან და კვასი და პაპიროსი მოითხოვა. ტოტა ხანს იქით მოჩქარა ორმა სხვა მატროსმა, რომელთაც გამოუცხადეს იქვე მდგარ პოლიციელს, რომ ისინი დაეძებენ ერთ გაქცეულ პატიმარს; პოლიციელებმა მოინდომეს ზენახსენებული მატროსის დაჭერა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უცბათ დანა ამოიღო და გამოუცხადა პოლიციელებს: ვინც გაბედავს და მომეკარება, იმას არ დავინდობ და დავკლავო. ამ დროს მოსულმა ოფიცერმა უბრძანა მატროსი დაეპატიმრებინათ. მატროსმა ოფიცერს უშველის სიტყვით გინება დაუწყო, შეაგინა მეორე რანგის კაპიტანს და გენერალ ალექსანდროვს. სადაც ეს მბავი ხდებოდა აუარებელ მატროსებს მოეყარათ თავი, მაგრამ, მაუხედავათ უფროსების ბრძანებისა, არც ერთმა მათგანმა არ წაართვა მატროსს დანა და არ დაპატიმრა ამხანაგი. მაშინ პოლიციელებმა ხმლები აიშიშვლეს და მატროსს შეუტიეს. ამოდებული ხმლების დანახვაზე მატროსი შეკრთა და ნაკოლკვეს პარკისკენ გაიქცა. წინ ორი პარტალერისტი მიდიოდა, რომელთაც გაქცეული მატროსი გაჰყარეს. ამ დროს მოვიდენ პოლიციელებიც, რომელთაც მატროსი დაიჭირეს და შეკრეს.. (ს. ო.).

—

„მატენის“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი მეტათ შეწუხებულია რუსეთში **რევოლუციის გაძლიერების გამო.** (ნოვ.).

—

რუმინიაში დაიკარგა 23 მატროსი ჯავშიანი „პოტიომკინისა“. როგოც ამბობენ, ეს მატროსები რუსეთის აგენტებმა დაათვრეს, მერე გემზე წაიყვანეს და რუსეთში გაიტაცესო. რუმინიაში შედგა რაამდენიმე კომიტეტი, რომელთაც „პატიომკინის“ მატროსები უნდა დაიცვან (რ. ს.).

—

ოფიციალურ „ფინლ. გაზეტა“-ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ახლა კი საბოლოოთ გამოირკვა, რომ ფინლანდიის სარევოლუციო პარტია რუსეთის რევოლუციონერებს შეუკავშირდა და ბრძოლის იარაღათ ყუმბარები და რევოლვერები ალიარა. ამ დღებში გამოვიდა ამ პარტიის გაზეთი „თავისუფლება“, რომელიც პოლიტიკურ მკვლელობას აქებს, მკვლელებს აქეზებს და ზოგიერთ გუბერნატორებსა და პოლიციელებს სიკვდილით დასჯას უწუეტავს. ამ ცოტა ხანში ამ პარტიამ გადაწყვიტა რამდენიმე ადმინისტრატორის მოკვლა. მათ შორის ფინლანდიის გენერალ გუბერნატორის თანაშემწე დეიტრიხიც ირიცხებოდა. ფინლანდიის სასამართლომ განიხილა საქმე რეინიკისა, რომელსაც ვიბორგის გუბერნატორის მოკვლა ბრალდებოდა და მკვლელი თითქმის გაამართლა, გუბერნატორი კი გაამტყუნა. იმ დროს, როცა სასამართლომ პროკურორის მკვლელს ხოხენტალს 20 წლით კატორღა გადაუწყვიტა, ხოხენტალი სრულებითაც არ შეწუხებულა, ფანჯარასთან მივიდა, გამოიღო და აუარებელ ხალხს მიესალმა, რომელიც მას პატრიოტულ სიმღერებს უმღეროდა და წითელ ხელსახოცებს უქნევდა. პოლიციმეისტერმა დარაჯებს უბრძანა, ფანჯარა დაკეტეთ და ხოხენტალი წაიყვანეთო, მაგრამ იმათ ეს ბრძანება არ შეასრულეს. სწორეთ ამ დღეს სამი საათის შემდეგ, უემბარამ იფეთქა და ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე სასიკვდილოთ დასჭრა. (პრ. კრ.).

—

მთავარ შტაბის უფროსმა თხოვა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს პეტერბურგში მცხოვრები პორტ-არტურის დამცველები აქედან გააძევეთო. მიზეზათ იმას ასახელებს, რომ პორტ-არტურის გმირებს განუწყვეტელი მასვლა-მოსვლა და მოლაპარაკება აქვთ პეტერბურგის ჯართან და მოუსვენარ აგიტატორებთან, რომელნიც ჯარში ცუდ ხმებს ავრცელებენ და პროპაგანდას ეწევიანო. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა პორტ-არტურას დამცველების პეტერბურგიდან განდევნის შესახებ (რ. ვ.).

—

დვინსკის გუბერნატორმა დაპატიმრება და მერე ქალაქიდან განდევნა გადაუწყვიტა 89 მამა-კაცსა და დედა კაცს, რომელთაც დემონსტრაციაში მიიღეს მონაწილეობა (რ. ვ.).

—

10 ივლისს ლიბავაში დაასაფლავეს ყაზახ-რუსების მიერ მოკლული მეეტლე. დასაფლავებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. სასაფლაოზე ბევრი სარევოლიუციო სიტყვა ითქვა და მარსელიეზაც იმღერეს. საქმე პოლიციასთან შეტაკებით გათავდა. მოკლულ იქნა ჟანდარმის უნტერ-აფიცერი და დაიჭრა მეორე ჟანდარმი. დემონსტრანტები დაიშალენ (რ. ვ.).

—

მინსკში დიდი არეულობა მოხდა. პოლიციას მრავალი დაუპატიმრებია. მოკლული და დაჭრილი ბლომათ არის (რ. ვ.).

უცხოეთის ქრონიკა.

გერმანიის მთავრობა და რუსეთის მოძრაობა. გერმანიის პროლეტარიატს კარგათ ესმის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის დღევანდელ მოძრაობას მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებისათვის. მან იცის, რომ ის ფარული, „არა ლეგალური“ ბრძოლა, რომელიც დღეს რუსეთის საზოგადოების სხვა და სხვა კლასთა შორის სუფევს და თითქო ქვესკნელში გუგუნებს, ახლო მომავალში ვულკანივით გაარღვევს ბიუროკრატიულ წყობილების ქერქს და თავისუფლათ ამოხეთქს განახლებულ ცხოვრებაში. მაშინ—დღეს თავ შეკავებული და აღვირ-ადებული კლასთა წინაათმდეგობა კალაპოტში ჩადგება და ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო შეიქნება,

რადგან აღარ იქნება ის ძალა, რომელიც ახშობს და ხუთავს მას. განახლებული რუსეთის მომავალი ცხოვრება თვალწინ უდგას გერმანიის პროლეტარიატს, ის წინ და წინ სიამოვნებას გრძნობს იმ სანატრელი დროის მოლოდინში, როდესაც რუსეთის მრავალ ტანჯულ პროლეტარიატი, კლასთა აშკარა ბრძოლით გათვითცნობიერებული, მხარს დაუშვენებს თავის გაომოცდილ ძმას-გერმანიის პროლეტარიატს, ძალას შემატებს ჩაგრულთა ბანაკს და გააადკეცებს მსოფლიო პროლეტარიატის მნიშვნელობას. ამიტომ სრულებით გასაკვირველი არაა, თუ გერმანიის მუშათა პარტიის ყველა ორგანოებში შეგხვდებათ შემოწირულების სია თავისუფლებისთვის მებრძოლ ამხანაგების სასარგებლოთ. ასეთი სია ყოველთვის თვალსაჩინო ალაგას არის ხოლმე მოთავსებული. ამ გარემოებამ მეტათ შეაწუხა და დაანაღვლიანა გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობა და ფრიად ძნელ საგონებელში ჩააგდო. ასე გასინჯეთ, მთავრობას თათბირიც კი ჰქონია იმის შესახებ, თუ რა ღონე იღონოს, რომ გერმანიის პროლეტარიატს მოუსპოს რუსეთის რევოლიუციონერთა მიმართ ასეთი აშკარა სიმპატიის გამოცხადების საშუალება. იქ ხომ რუსეთის თვითნებური მთავრობა არ არის, რომ ერთი ყოველთა უსაბუთო „პრიკაზით“ აუკრძალონ მუშა ხალხის ასეთი „თავხედობა“ და აი, გერმანიის „ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველ კომიტეტს“ ბჭობა გაუმართავს იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხოს, რომ ასეთ „სამარცხვინო“ შემოწირულებათა შეკრება არსებული კანონის რომელიმე მუხლის ძალით აკრძალოს, ჯერ მიუმართავთ კანონდებულების იმ სტატიებისათვის, რომელთა მიხედვით სასჯელის ღირსათ ითვლება ყოველივე მოქმედება მეგობარ სამეფოს წინააღმდეგ, თუ ამ მოქმედებას არსებულ წესწყობილების დამხობის განზრახვის ხასიათი აქვს. თუმცა მებრძოლ რუსეთის სასარგებლოთ, ფულის შეკრებას სწორეთ ამნაირი ხასიათი აქვს, მარა მთავრობა მაინც ვერ ისარგებლებს ზემოხსენებულ კანონით, რადგან შემოწირულებანი გამოცხადებულია რუსეთში მებრძოლ ამხანაგთა **ოჯახების** დასახმარებლათ, და არა თვით რევოლიუციონერთა სასარგებლოთ. მაშ ეს კანონი არ გამოდგა. არის კიდევ ერთი ადგილი პრუსიის დებულებაში, რომელზეც, შეეძლო შეჩერება მთავრობას, სახელდობ შემდეგი: აკრძალულია „უზნეო და მავნე დანიშნულებისათვის“ შემოწირულებათა შეგროვება. მარა ვინ იქნება ისეთი მართლაც ყოვლათ უზნეო და მავნე ადამიანი, რომ გერმანიის მუშათა რუს მუშებისადმი დახმარებას—უზნეო და მავნე უწოდოს. მაშ არც ერთი კანონი გამოდგა და გერმანიის მთავრობა ძალაუნებურათ უნდა შეუგრიგდეს პროლეტარიატის «თავხედურ», მარა «კანონიერ» მოქმედებას...

მუშების მიტინგი. „მოგზაურის“ წინა ნომერში მკითხველი დაინახავდა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის კანცლერ თავ. ბიულოვის განკარგულებამ, რომლის წყალობით ბერლინში დანიშნულ სოც.-დემოკრატთა კრებას ფრანგი სოციალისტი ჟორესი ვერ დაესწრო. სწორეთ იმ დღეს, როცა ბერლინში ჟორესის პატივსაცემათ მანიფესტაცია გამართეს, ბიძენის ტბის მახლობლათ, ქალაქ კონსტანცში შეიკრიბა ათი ათასზე მეტი მუშა მსოფლიო მშვიდობიანობის და ერთა შორის თანახმობის შესახებ მოსალაპარაკებლათ. ამ კრებას მუშათა პარტიის რამოდენიმე გამოჩენილი წარმომადგენელიც დაესწრო: სხვათა შორის იქ იყვენ ბებელი, ავსტიელი ვიქტორ ადლერი, შვეიცარიელი გრეილიხი და იტალიელ მუშათა წარმომადგენლები. მაგრამ საქმე სხვანაირათ დატრიალდა. კრების გახსნის ხანს ადგილობრივი პოლიციის უფროსმა გამოაცხადა, რომ კრებაზე ლაპარაკი მხოლოთ იმ პირობით შეიძლება, თუ რომ ორატორები „მეგობარ მთავრობათა“ მოქმედებას არ შეეხებიანო. ამ პირობის მხოლოთ ბებელმა ილაპარაკა. „გერმანიის მთავრობას მოქმედებაო სთქვა ორატორმა—იმდენათვე ტლანქი და უზრდელურია, რამდენათაც ბრიყვული. ბისმარკი არ იყო ჩვენი მეგობარი, მარა რომ შეეძლოს იმის გაგება, თუ როგორ შეარცხვინა მთავრობამ გერმანელები მთელი ქვეყნის თვალში, მიცვალებული კუბოში გადაბრუნდებოდა. ისეთ სისულელეს, როგორიცაა ჟორესის ბერლინში ჩამოსვლის აკრძალვა, იმ ჟორესის, რომელსაც მთელი ქვეყნის დიპლომატებზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ორ კულტურულ სახელმწიფოთა დაახლოვების საქმეში—ბისმარკი არასოდეს არ ჩაიდენდა! ბიულოვი ქება-დიდებას უძღვნის პოლიტიკურ მოღვაწეს და ამასთანავე კარებს უკეტს მას ცხვირ წინ და არწმუნებს ქვეყანას, რომ ფრანგ სოციალისტ ჟორესსა და გერმანიის სოციალისტთა შორის—დიდი განსხვავებაა. კანცლერი მოიგონებს ჩვენს შეტაკებას ამსტერდამში მომხდარ საერთაშორისო კონგრესის დებატების დროს, მაგრამ რა გაიგებათ თქვენ ამის, თავადო ბიულოვ. განა თქვენ მიხვდებით, რა უანგარობა და თავგანწირულება გამოიჩინა ჟორესმა, როდესაც ამსტერდამის კონგრესის დადგენილება სავალდებულოთ მიიჩნია და მთელი თავისი გავლენა მოიხმარა, რომ ამ დადგენილების მიხედვით საფრანგეთის პროლეტარიატის დაცალკევება აეცილებია? ამის გულისთვის ყველა ქვეყნის მუშები ღრმა პატივისცემით და მადლობის გრძნობით უნდა იხსენიებდენ ჟორესის სახელს. ის, რის გამოთქმაც ჩვენ აქ გვინდოდა, და რაც ჟორესს ბერლინში უნდა ეთქვა, მხოლოთ შემდეგი ფაქტის აღსარებაში მდგომარეობას: ხალხთ აღარ სურთ ცხვრებივით დარჩენ საერთაშორისო პოლიტიკაში, მათ აღარ უნდათ თავის და სხვისი სისხლი ღვარონ რაღაც პრესტიჟის, ცრუ ნაციონალურ ინტერესების, მყვირალა ფრაზების და თავქარიან მოქმედებათა გულისათვის: ასეთი ომები—ბოროტ მოქმედებაა კაცობრიობის წინაშე და რუსეთის ახლანდელი მდგომარეობაც კარგათ ამტკიცებს, თუ სანამდი შეუძლია მივიდეს ხალხი და მთავრობა ასეთი ომის წყალობით. რუსეთის აწმყო გაკვეთილია ყველასათვის“!

როცა ბებელმა თავის სიტყვა დაასრულა მთელი კრება გაემართა შვეიცარიის საზღვრისაკენ, რომელიც კონსტანციდან ათი წუთის სავალზე არის დაშორებული. მუშები მივიდენ ქალაქ კრეიცლინგენში, სადაც თავისუფლათ შეეძლოთ სჯა-ბაასი. კრება მშვიდობიანათ გათავდა. კრების გათავების შემდეგ აუშვეს წითელი დროშები და გაისმა მუშური მარსელიეზის სიმღერა. ქალები და ბავშვები თავისუფლათ მიდიოდენ დემონსტრატიულ პროცესიაში და თანაგრძნობით და სიყვარულით უცქეროდენ ძვირფას სტუმრებს.

ფელეტონის მაგიერი.

ნაწყვეტები ეშმაკის დღიურიდან.

კვირა 17 ივლისი. ვსთქვათ ეშმაკი ვარ, მაგრამ მეც ხომ ქართველი ანუ ქართული ეშმაკი ვარ!! მაშ რატომ არის, რომ ასე ვეჯავრები ყველას და ესეთი ბოროტი გულისა ვგონივარ!... კვირა დღე ჩემთვისაც სადღესასწაულო დღეა. მიყყვარს საზოგადოთ კვირის ფელეტონები და კერძოთ «ცნობის ფურცლისა;“არ იფიქროთ «პატარა ამბები» რო აწერია, ვითომ მართლა პატარა იყოს! ის ყოველთვინ ტრაგიკულათ იწყება ხოლმე და მასთან ისეთი საამურია, რომ შიგნერებში გიხი-

ცინებს და გრძნობებს გიშლის. აი თუნდა დღესაც ასე იწყებს მკითხველთან ბაასს ჩემი ნაცნობი ფელეტონისტი: „როდისღა? როდისღა?“ ო. და მართლაც რამდენი აზრია ამ ორ სიტყვაში! როდისღა? როდისღა?!...

ქართული ენა,ხომ მოგვცეს, ახლა სიმდიდრე გვინდა ხალხისათვის, სიმდიდრე! „ქართველ კაცს ნატვრაშიაც შნო აკლიაო“, იტყიან, მაგრამ ტყუილია. მაშ «როდისღა? როდისღა?“.

პარასკევი 15 ივლისი. გუშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ: ქვეყანა გაეშმაკდა! ასე ადვილათ ველარავის ვერ მოატყუებ. ძველათ ჩვენმა სატანამ თვით მაცხოვარის გამოცდა და მოტყუილება მოიწადინა; უთხრა: „აი ამ კლდიდან გადახტი და რასაც ხედავ გაჩუქებო.“ ახლა უბრალო გლეხსაც ველარ მოატყუილებ ასეთი ხერხით. განა რა არის ღარიბისათვის სიმდიდრეზე უკეთესი?!! მე ყური მოვკარ როგორ ელაპარაკებოდა ვანიჩკა ფედერალიძე ერთ სოფლელ გლეხს:—«ძმობა, ერთობა და თავისუფლება!»—მწამს. მიუგო გლეხმა.—«შენ გატყუილებენ საბრალოვ!» განაგრძო მან. „დამიგდე ყური: ჩვენ გვინდა შენი ბედნიერება, შენი კეთილი, შენი ცხოვრების აყვავება! მაგრამ იცოდე ჩვენ გვინდა ყოველივე ეს გამდიდრებით. ჩვენი სურვილია ყოველი თქვენგანი კაპიტალისტი გახდეს.

ამბა წარმოიდგინე მცირე ხნით ასეთი სურათი: შენა ხარ პატრონი ათიოდე ქარხანა-ფაბრიკისა, რომლებშიაც სხვა და სხვა გვარ ძვირფას საქონლებს ამზადებენ. გარდა ამისა შენს განკარგულებაში არის ასი დღიური საუკეთესო სახნავი მიწა; ორმოც და ათი დღიური კარგი ტყე და ამდენივე მშვენიერი საბალახო ადგილი. ამასთანავე გაქვს მშვენიერი სასახლე, და ფრიად განიერი ეზო, რომელსაც მაღალი რკინის ღობე არტყია და ისეთი ძაღლები გყავს, რომლებიც ადამიანს წამში ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯენ. ეზოს მახლობლათ გაქვს კარგა დიდი ზვარი და მოზრდილივე ხეხილის ბაღი, რომლის ნაყოფებითაც მშვენიერ მურაბა-კონსერვებს აკეთებ, მით უმეტეს, რომ ერთ ერთ შენს ქარხანაში შაქარს აკეთებენ და ეს უკანასკნელიც უხვად გაქვს. სასახლეს, ელექტრონი ანათებს, ოთახები საუცხოოთ მოწყობილია. იქვე ცალკე ოთახებში გიდგას თ'ილი გინდ ცივი ვანები, რომ კნეინის საშვალებით შენი ჯანმრთელობა უზრუნველ ჰყო და ნერვები გაიმაგრო. სახლის მახლობლათ კლდეში გამოჭრილი გაქვს მშვენიერი სარდაფი სხვა და სხვა ღვინოებით სამსე. ადგილ-მამულს მაშინებით ამუშავებ და შინაურ ცხოველებიდან მხოლოთ ძროხები და სხვა მეწველი საქონლები გყავს.

ტყეში, რომლის შესავალ კარებზედაც აწერია: „აქ უცხო პირთ ნადირობა სასტიკათ ეკრძალებათო“, მრავალი ირმები და ჯიხვ-შველები გყავს. ოთხი დიდი აუზი სხვა და სხვა თევზებითა გაქვს სამსე. შინაური ფრინველებისათვის ცალკე ეზო გაქვს და რამდენიც გინდა იმდენი გყავს; ერბო ყველი და კარაქი თავზე საყარათ აგივა. სამგზავროთ ავტომობილები, პირველი კლასის ვაგონები და საფრენათ ახალ მოდის ჰაეროსტატები გაქვს. ფული რამდენიც გინდა იმდენი გაქვს. გადასახადს არავის აძლევ. შენს შვილს პირდაპირ უნივერსიტეტში იღებენ სტუდენტათ და ამასთანავე ქართულათ ასწავლიან გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით. ერთი სიტყვით ვინ მოსთვლის რა არ შეიძლება კიდევ ითქვას, ყველაფერი ვის გაახსენდება? აი ჩვენ რას ვპირდებით ხალხს და სირცხვილი არ არის ჩვენ ხალხის მტრებს გვიძახოდენ და ასე უნდოთ გვექცეოდენ?!

უკვე ჩამოთვლილს დაუმატე ისიც რომ შენს ოჯახს საკუთარი საკანონმდებლო უფლება ექნება და მაშინ თვალსაჩინო იქნება ის განსხვავება, რომელიც ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის სუფევს.

გლეხ-კაცმა თვალები ამოიფშვნიტა; სიზმარში იყო ეგონა.

— ახლა გაიხსენე ისიც თუ რა სურთ იმათ: იმათ თქვენი გაღატაკება, ტყავის-გაძრობა თქვენი დაბეჩავება უნდათ. ისინი ჭონებას თქვენ გართმევენ და კერძო კაცების ხელში აგროვებენ, რომ თქვენ გაპროლეტარდეთ, ბოგანო შეიქნეთ. ახლა მითხარი რომელი აჯობებს: ჩვენი თუ მათი სურვილი? აირჩიე რაღა?“.

განა იფიქრებდა ვინმე, რომ გლეხი ასეთ განსაცდელს გაუძლებსო? რა მომხიბვლელი სურათი იყო!! მარა ახლა ველარც ასეთი ოინბაზობა სჭრის. ქვეყანა გაეშმაკდა.. ცარიელ ქარაფშუტა სიტყვას ახლა ნდობას აღარავინ უცხადებს.

ხუთშაბათი 14 ივლისი. დღეს რაღაც მხიარულ გუნებაზედა ვარ. მინდა დღიურში პოეზია შევიტანო. საგანიც სწორეთ საპოეზიოა.

„ხუთშაბათ დილა გათენდა რა კარგი დარი დგებაო; სამი ძმა ფედერალიძე სამგზავროთ ემზადებაო. შემოქმედისკენ გასწიეს, იქ ხალხი იკრიბებაო. მიმართეს თავმჯდომარესა: მოგვეცით სიტყვის ნებაო. ნუ დაგვაბრკოლებთ გენაცვა ფოთისკენ გვეჩქარებაო, იქიდან ზესტაფონს მივალთ შორი გზა გაგვევლებაო, ჰაითურელმა ვაჭრებმა იწამეს ჩვენი მცნებაო.

მათ თავმჯდომარემ მიუგო: ბრძანეთ მოგისმენსთ კრებაო. ილაპარაკეს ბიჭებმა რაც პირზე მოადგებაო; ბევრი ჰორები დახარჯეს, ბევრიც უმართლო ქებაო; აუხსნეს ხალხსა თავისი წყალ-წაღებული მცნებაო. ბოლოს მიიღეს პასუხი, როგორიც ეკადრებაო; აიკრეს გუდა ნაბადი ინებეს წაბრძანებაო.

გაგრძელება 14 ივლისი. ქვეყანა აირია. ვგონებ გამართლდეს ბოდბელი ბერ-მონაზვნების წინასწარმეტყველება „წარღვნის“ შესახებ. „ოდეს დაიწყოს ქვეყნათ სვრანი და ძვრანი წარღვნას ელოდეთო“. ვინ გაიგონა ქართველი მუშის გაფიცვა? არსათ ძველ ხელნაწერში ამგვარი არაფერი არ სწერია. ახლა ისწავლა და აღარ ინდობს არც მტერსა და არც „მოყვარეს“. არ დაინდეს მათ არც „სიმპატიური“ დაწესებულება კახელ მევენახეთა; მაგრამ არც თუ საზოგადოების გამგეობა დახვდა გულ-ხელ დაკრეფილი: „მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე, ხმალს ხელი იკრეს მამა-პაპურათ და გაჯიუტდენ თავისებურათ“. გავიდა კვირა ორი თუ სამი, მიიდგეს დახლთან თავთავის სკამი და გაჰკრეს ჩოთქსა სალოკი თითი—ნახეს: კოდება თურმე „კახეთი“. მაინც არ შედრკა რაინდთა გული და გამგეობა კვლავ ბრაზ-მოსული, მოიწვევს კრებას ვაჭრებისასა. მაგრამ გამოჩნდა აქ ხათაბალა: პირველი კრება მათ ჩაეშალა. გამოითხოვეს მეორე კრება, გუბერნატორმაც მათ დართო ნება; მოვიდა შვიდი ვიღაც ვაჭარი, მაგრამ იხილეს, რომ ირგვლივ ჯარი მცველათ უდგა მას „სამრეწველოს“.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს ხალხი მიაწყდა, იგერებს ჯარი. ამ დროს გაიღო სავაჭროს კარი და გამოვიდენ მუნით ვაჭრები; კრება არ შესდგა და დაიშალა: ორჯერ გაცრუვდა ბურჯების ძალა.

კახელ მევენახეთა საზოგადოების თავდადებული ბრძოლა მართლაც რომ საისტორიო მასალათ ივარგებს. უთუოთ გამოჩნდება ვინმე ისტორიკოსი და მოიხსენიებს: „თავ-დადებული გამგეობის „ბოიკოტთან“ ბრძოლას.

ამასთანავე ღრმათ დარწმუნებული ვარ კახელ მემამულეო

თა საზოგადო კრება ჯამაგირებს მოუმატებს ამ ახალი „პორტარტურის“ დამცველ რაზმს და სამხედრო ბიჯეტსაც გააძლიერებს „ბოიკოტის“ დასამარცხებლათ.

ეშმაკი.

ნაციონალური დღესასწაულები ბელგიაში.

ბელგია დღესასწაულობს. სატახტო ქალაქ ბრიუსელიდან დაწყებული უბრალო სოფლებამდე მთელი ქვეყანა სადღესასწაულო ბაირაღებით და ყვავილების თაიგულებითაა შემკული; ყველგან ილიუმინაციები, კორტეჟები და მაშხალები მოსჩანან; ბელგიის კოხტა ლამაზი ქალაქები სადღესასწაულოთ მოკაზმულნი თვალ წარმტაც სურათს წარმოანგენენ. რას დღესასწაულობს ბელგია ან უკეთ რომ ვსთქვათ ოფიციალური ბელგია? თავისი 75 წლის დამოუკიდებლობას; 75 წელია რაც მან თავისი ახალი მდიდარი დიდი ისტორია შექმნა. 1840 წლამდის სულ უმნიშვნელო ქვეყანა დღეს ევროპის „სოციალურ ლაბარატორიათ“ გარდაიქცა. მისი ინდუსტრია, კომერცია, ტეხნიკა დღითი დღე იზრდება, ვითარდება და მთელ ხმელეთს და ოკეანებს წვდება. შედარებით ერთი მუჭა, 7 მილიონი ხალხი, რომელიც თითქმის მიკროსკოპიულ ტერიტორიაზე მოთავსებულა, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და ამერიკას გვერდში უდგსა და საერთაშორისო ბაზარს თამამათ ედავება; არც მეცნიერებაში ჩამორჩა სხვას ბელგია. ბევრს გადააჭარბა კიდეც. მეცნიერების ყოველ დარგში ბელგიას საუკეთესო წარმომადგენელები ყავს, რომელთაც მთელი კაცობრიობა თაყვანსა სცემს. აი, რას დღესასწაულობს დღეს ოფიციალური ბელგია. ვიმეორებ ოფიციალურითქო, რადგანაც ბელგიის პროლეტარიატი მონაწილეობას არ ღებულობს ამ საერთო დღესასწაულში. შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა გაკვირვებით იკითხოს: მაშ პროლეტარიატი წინააღმდეგია დამოუკიდებლობის, თავისუფლების და ქვეყნის განვითარებასო? არა, მკითხველო, ყველაზე უფრო მუშა ხალხია დაინტერესებული ყველა ამაში; ყველაზე უფრო გულწრფელათ თავგანწირულათ მუშა ხალხი ემსახურება მათ განხორციელებას; მაგრამ როცა მუშა ხალხის მკლავით მოპოვებულ თავისუფლებით და სიმდიდრით სხვა სარგებლობს, როცა პროლეტარიატს თავისი გამარჯვების ნაყოფს ხელიდან აცლიან და სხვა ეპატრონება, პროლეტარიატს სადღესასწაულო არაფერი აქვს. ამას ქვევით დავინახავთ.

გადავავლოთ თვალი ბელგიის ისტორიას. ბელგიის დამოუკიდებლობა 1830 წლიდან იწყება. მანამდე საუკუნოების განმავლობაში ბელგიის ბედ-იღბალს სხვა სახელმწიფოები განაგებდენ: ისპანია, ავსტრია და ბოლოს საფრანგეთი. 1815 წელს კი, როცა ევროპის კოალიციამ ნაპოლეონ დიდის ძლიერება შემუსრა და მედიდური კორსიკელი ავანტიურისტი წმ. ელენეს კუნძულზე გადახვეწა, ბელგიის ბედიც ვითომ სამუდამოთ წყდებოდა. ამ წელს ბერლინის კონგრესზე ბელგია ჰოლანდიას შეუერთეს. მაშინ ჰოლანდიას გულ-კეთილი, მაგრამ სუსტი ხასიათის მეფე ვილჰელმ I განაგებდა. მაშინდელი ჰოლანდიის ლიბერალური მთავრობა მაინც და მაინც აუტანელ ტვირთათ არ აწვა ბელგიელებს; ამ ხანაში ბელგიის ინდუსტრიაც აყვავდა, სწავლა-განათლებაც განვითარდა; პირველ დაწყებითი და საშვალო სკოლები ქვეყანას საკმაოთ მოედო; მასთან მთავრობამ ბელგიაში სამი უნივერსიტეტიც გახსნა: ლუვენში, ლიეჟში და გენტში და რამდენიმე ტეხნიკური სასწავლებელიც. ერთი სიტყვით ბელგიის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობდა; მაგრამ მიუხედავათ ამისა, მთავრობის უკმაყოფილონიც ბევრი ჩნდებოდა, მათი რიცხვი თან და თან იზრდებოდა. ვინ იყვენ ეს უკმაყოფილონი? ვინც თავისი საკუთარი ინსტინქტის დასაკმაყოფილებლათ არაფერს არ ერიდებოდენ; თავის საკუთარ ინტერესს საზოგადო ინტერესებზე მაღლა აყენებდენ. მთავრობის მოწინააღმდეგეთა რაზმს სამი ჯგუფი შეადგენდა: სამღვდელოება, ლიბერალები და ანნექსიანისტები, ან როგორც სხვაფრივ უწოდებდენ, ფრანკოფილები; უკანასკნელები უმეტესათ პირველი ორი ჯგუფისგან შედგებოდენ. რას თხოულობდენ ეს ჯგუფები მთავრობისაგან? პირველი ე. ი. სამღვდელოება წინააღმდეგი იყო ჰოლანდიის მთავრობის მეტის მეტი ლიბერალური პროგრამის ერთი მუხლისა, სადაც აღიარებული იყო სარწმუნოების სრული თავისუფლება; მეორენი სამართლიანათ თხოულობდენ პრესის სრულს თავისუფლებას, მაგრამ არ მოსწონდათ ადმინისტრატიულ და იურიდიულ დაწესებულებებში ენების გათანასწორება, (ფრანკოფილებთან ერთათ ფრანგული ენის გაბატონება უნდოდათ) ამასთან ადმინისტრაციაში წარჩინებული ალაგები მათთვის სანატრელი იყო, ჰოლანდიის ფონქციონარიზმი მათ ხელ-ფეხს უკრავდა. ანნექსიონისტებს ან ფრანკოფილებს უნდოდათ ბელგიის საფრანგეთთან შეერთება. ამ ნაირათ ყველანი საწინააღმდეგოთ უმნიშვნელო მიზეზებს ჩხრეკდენ, გარკვეული, გონიერი მიზანი კი არც ერთს არ ქონდა. ქვეყნის თავისუფლება; ბელგიის დამოუკიდებლობა არც ერთს არ ახსოვდა. 1823 წლიდან ჰოლანდიის მთავრობამ ბელგიაში ნიდერლანდური ენა ოფიციალურ ენათ აღიარა; ამნაირათ პატარა ბელგიაში სამი ოფიციალური ენა იყო: ფრანგული, ჰოლანდიური და ფლამანური. ეს საკმარისი იყო მოწინააღმდეგეთა ჯგუფების შესაერთებლათ; ლიბერალებს და ფრანკოფილებს სამღვდელოებამაც მხარი დაუჭირა და მთავრობას პროტესტი პროტესტზე გამოუცხადეს. სუსტი ვილჰელმი თითქმის დაითანხმეს. სამღვდელოება და ლიბერალები დროებით დაშოშმანდა, მაგრამ ფრანკოფილები მედგრათ განაგრძობდენ წინააღმდეგობას. აი რას წერდენ ამ დროს ისინი ერთ ერთ თავის ჟურნალში: „ერთი წამია საჭირო, რომ მეფეს კისერზე თავი მოვაჭრათ, მეორე წამს კი გილიოტინის ფიცარს მივაკრამთო“, მაგრამ ამგვარი პროვოკაცია ხალხზე არაფერს შთაბეჭდილებას არ ახდენდა. 1830 წელიც მოახლოვდა. ამ წლის ივლისში საფრანგეთში რევოლიუცია მოხდა, კარლ X ტახტიდან ჩამოაგდეს. ბელგიის მეამბოხეებს იმედი მიეცათ; რევოლიუციის სურათი თვალ-წინ დაეხატათ, საფრანგეთის რევოლიუციით წაქეზებულები ჰოლანდიის მთავრობასთან საბრძოლველათ მოემზადენ. ამავე წლის 24 ავგისტოს ვილჰელმის დაბადების დღე უნდა ედღესასწაულათ; ბრიუსელის პარკებს საილიუმინაციოთ ამზადებენ, ქუჩებზე კი მეამბოხეები პროკლამაციებს არიგებდენ შემდეგი წარწერით; „24-ს ილლიუმინაცია, 25-ს რევოლიუცია“-ო. ხალხი აღელდა; მეამბოხეები კრებებს მართავდენ და ვილჰელმს პეტიციებს უგზავნიდენ, სადაც ითხოვდენ ძველი სამინისტროს გადაყენებას და ახალი სამინისტროს ხალხის წინაშე პასუხის მგებლობას; მაგრამ სამინისტროს წესდების შეცვლა კონსტიტუციის ძალით ვილჰელმს შეუძლებლათ მიაჩნდა და არა ერთხელ უნეორებდა პეტიციონისტებს: „მართალია სისხლის ღვრა საზიზღრობაა, მაგრამ ევროპის წინაშე სირცხვილი იქნება, რომ თქვენი თავხედი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილოო“. ამ პასუხის შემდეგ 600 ჯარის კაცი ბრიუსელის კარებს მიაყენა. რა ქნეს ამ დროს ბელგიის მეამბოხეთა მეთაურებმა? თავ-ზარ დაცემულნი აქეთ-იქით მიიმალენ: ზოგი საფრანგეთს შეეხიზნა, ზოგიც არდენის ტყეებში დაიმალა. ვის უნდა გაეცა პასუხი ჰოლანდიის ძლიერი ჯარისათვის, რომელიც ბრიუსელს გარს ერტყა, თუ არა ისევ

ბრიუსელის მუშა ხალხს და ეს ასეც მოხდა. შემოღებულმა მანქანამ ბევრი მუშა ქუჩაზე ულუკმაპუროთ გამოყარა; ამ ელემენტებისაგან შემდგარი მებრძოლი რაზმი ვილგელმის ჯარისათვის სახუმრო არ იყო. ბრიუსელის მუშებს ბოლოს ფლანდრიის გლეხებიც მიემატენ სამი დღის განმავლობაში (23 სექტემბრიდან) ბრიუსელის ქუჩებზე მუშა ხალხმა მიუვალი ბარიკადები ააშენა. სამი დღის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. ბოლოს ვილგელმის ჯარი უკუქცეული იქნა და იძულებული იყო ბრიუსელი მიეტოვებინა და ისევ ჰოლანდიის გზას გადგომოდა. მართალია ჰოლანდიის მთავრობა ამით არ დამცხრალა; არა ერთხელ ვაიმეორა კიდევ ამნაირი ექსპედიციები; არა ერთხელ მტვრათ აქცია ბელგიის საუკეთესო ქალაქები და სოფლები, მაგრამ ბელგიის დამოუკიდებლობის საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო. როდესაც მუშა ხალხმა ბრიუსელის და სხვა ქალაქების ქუჩები თავისი სისხლით მორწყო, ამ დროს არც დიპლომატიას ეძინა; მან ბოლო მოუღო ვილგელმის თავ-გასულობას და ნება არ მისცა ბელგიის ჯარის შემწეობით დაპყრობის. საფრანგეთი და ინგლისი, აი ორი სახელმწიფო, რომლებიც უფრო დაინტერესებულნი იყვენ ბელგიის კითხვაში. საფრანგეთს უნდოდა ბელგიის შემოერთება, მაგრამ ინგლისის საწინააღმდეგოთ ვერას გაბედავდა; ბოლოს ბელგია დამოუკიდებელ, ნეიტრალურ სახელმწიფოთ იქნა აღიარებული, მაგრამ მეფის არჩევაც სადავოთ გახდა. ბელგიის წარჩინებულებს საფრანგეთის მეფის ლუი ფილიპეს შვილი უნდოდათ თავის მეფეთ, მაგრამ ინგლისი ამის წინააღმდეგი გახდა; მას კანდიდატათ კობურგელი პრინცი ლეოპოლდი ყავდა, რომელიც ბოლოს აირჩიეს კიდეც ბელგიის პირველ მეფეთ. აი მოკლეთ ბელგიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების ისტორია. აღვილი მისახვედრია, რომ გოლანდიის მთავრობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფების მოთხოვნილებები უბრალო ჟინი იყო, რადგანაც დამოუკიდებელ ბელგიაში, (რომლის დამოუკიდებლობა მათ სიზმრათაც არ ელანდებოდათ), კონსტიტუციის ძალით აღიარებული იყო სარწმუნოების სრული თავისუფლება და ორი ენა: ფრანგული და ფლამანური ოფიციალურ ენებათ. ეს კონსტიტუცია მათივე შედგენილი იყო. ამნაირათ ერთის მხრით მუშა ხალხის მოუმზადებლობით და მეორე მხრით დიპლომატიის შეცდომით ბელგიის ბურჟუაზიამ „ედემი“ ხელში ჩიგდო და განცხრომას მიეცა. ცუშა ხალხის „ინიციატივით“, ენერგიით და ჭრომის მოყვარეობით შექმნილი აუარებელი სიძიდრე მან დაისაკუთრა. რა მისცა სამაგიეროთ ამისა მუშა ხალხს ბელგიის ბურჟუაზიამ? დიდი სამუშაო დღე დი უმცირესი სამუშაო ქირა, თუმცა მრეწველობაში და აღებმიცემობაში ბელგიას პირველი ალაგი უჭირავს სხვა დიდ სახელმწიფოებს შორის, სოციალურ კითხვებში ის ჯერ კიდევ უკანასკნელია. აი ამ მრეწველობის სამეფოში მუშა ხალხი დღესაც მოკლებულია სიყოველთაო თანასწორ არჩევნების უფლებებს და სავალდებულო პირველ დაწყებით სწავლა-განათლებას; არც ერთი და არც მეორე ბურჟუაზიას არ ესაჭიროება; ეს მას საუკეთესო საშვალებათ გაუხდია პროლეტარიატის ექსპლოატაციისათვის. აი, რას დღესასწაულობს დღეს გამარჯვებული ბელგიის ბურჟუაზია, აი რისთვის არ დღესასწაულობს დამარცხებული ბელგიის პროლეტარიატი. „ბელგია კაპიტალისტების ედემიაო“ თქვა თავის დროზე მარქსმა. თანამედროვე ბელგია კი კაპიტალიზმ-კლერიკალიზმის ედემია. კაპიტალიზმ-კლერიკალიზმი ერთიმეორეს დამატებაა; ეს ორთავიანი გველეშაპია, რომელიც ბელგიის პროლეტარიატს ლოდივით დაწოლია. როდესაც ამ გველეშაპს ორივე თავი მოწყდება, პროლეტარიატის დღესასწაულებიც მაშინ დაიწყება. მაშ ჩვენც ეს ვუსურვოთ მას.

ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა ზღაპრულ მდევსავით დღითი დღე იზრდება. საზოგადოების ყველა მიძინებულ ნაწილებს მუჯლუგუნს ჰკრავს ეს მოძრაობა და გამოყავს იმ პოლიტიკურ ინდიფერენტიზმის მდგომარეობიდან, რომელსაც დღემდის შეუპყრია იგინი. სუყველა—კაპიტალისტი თუ მემამულე, მუშა თუ სოფლის ბოგანო, ხელოსანი თუ მესაკუთრე-გლეხი —სუყველა ესენი ცდილობენ წესი აუგონ იმ ბიუროკრატიულ რეჟიმს, რომელმაც ეკონომიური გაკოტრებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, ხოლო მცხოვრებლები გონებრივ სიღატაკის ბნელეთში ჩააგდო; აი, ეს არის ყველა კლასთა, საზოგადოებრივ ჯგუფთა და მათი ლტოლვილების გამომხატველ პარტიათა უახლოესი მიზანი. მაგრამ აქ ერთი საკითხი იბადება: ყველა ეს კლასები ერთნაირათ არიან დაინტერესებული ამ პოლიტიკურ ბრძოლაში, თუ არა? ყველა ამათთვის საბოლოო მიზანს შეადგენს პოლიტიკური თავისუფლება, თუ არა? რასაკვირველია, არა. ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატისთვის პოლიტიკური თავისუფლება მხოლოთ საშვალებას წარმოადგენს, ისეთ საშვალებას, რომელიც მას კლასობრივ შეგნებას უვითარებს და კლასობრივ ბრძოლას უადვილებს; ხოლო ასეთი შეგნებით და ბრძოლით“ იგი უფრო ადრე დაამყარებს სოციალიზმს.—ეს ხომ ქვეყნის გაზეპირებული ჭეშმარიტებაა, ეს ხომ ყველა გიმნაზიელებმაც იციან ახლაო, გვისაყვედურებენ ჩვენ. მკერა, სამართლიანი შენიშვნაა, მარა მოვაგონებ მკითხველს გიოტეს ბრძნულ სიტყვებს: „წამ და უწუთ უნდა იმეორებდე ჭეშმარიტებას, რადგან შენს გარეშემო მუდამ შემცდარი აზრები გაიმისო.“ დიახ, უნდა ყოველ-წამს იმეორებდე ჭეშმარიტებას, მით უმეტეს, რომ ახლა და ახლა ეს „შემცდარი აზრები“ „მარქსისტებსაც“ ძალიან ეჩვია, „მარქსისტებს,“ რომელნიც პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების დაცველებათ სახავენ თავიანთ თავს

რაშია საქმე?

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პროლეტარიატი სხვა კლასებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთათ მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკურ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში უმთავრესი, ცენტრალური ადგილი პროლეტარიატს უჭირავს, ხოლო ყველა ბურჟუაზიული კლასები თვალებში შესცქერიან მას და მის გარეშემო მწკრივდებიან, რადგან ხედავენ მუშა ხალხის პოლიტიკურ ძალას. ამ გვარათ, პროლეტარიატი გამოდის ძლიერი დემოკრატიული პარტიის სახით და, როგორც ამნაირი, ადვილი შესაძლებელია ფარგალს გადასცდეს, ბურჟუა-დემოკრატთა კლასების მიზნის გამახორციელებელ იარაღათ გახთეს, გაითქვიფოს ამ კლასებში და თავის კლასობრივი სახე სრულიად დაკარგოს. სწორეთ ამ ცეცხლივით გაღვივებულ დემოკრატიულ მოძრაობაში იმალება საფრთხე; სწორეთ ამ დემოკრატიულ ბრძოლაში მეთაურობას უნდა გაუფრთხილდეს პროლეტარიატი, როგორც კლასობრივ ნიადაგზე დამყარებული პარტია. მუშათა კლასს და მის იდეოლოგებს (მარქსისტებს) ფრიად ძნელი საქმის შესრულება ხვდათ წილათ: მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ბრძოლაში ისე, რომ არ გაითქვიფონ შიგ; მათ მუდამ მაღლა უნდა ეჭიროთ კლასობრივი ბრძოლის დროშა და არ უნდა შეასუსტონ პროლეტარული თვით-შემეცნება; პოლი-

ტაკურ ბრძოლასთან ერთათ მათ არ უნდა დაივიწყონ ეკონომიური ბრძოლა—თავის აგრესიულ მსვლელობაში მუდამ უნდა ახსოვდეთ კლასობრივი ბრძოლა და ამით უნდა სამუდამოთ გამოიმიჯნონ თავის თავი ყველა ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიათაგან. ამიტომ არ არის საკმაო მარტო სიტყვით მოგჭონდეს თავი პროლეტართა ინტერესების დამცველათ, არ კმარა მუშათა კლასის პროგრამა შეისწავლოთ მხოლოთ და თავის თავი მარქსისტათ აღიარო, საქმე ის არის—თვით საქმეზე მოიხმარო შენი მარქსისტული პრინციპები და რიგიანათ გაიყვანო ისინი ცხოვრებაში. შეუმცდარი პარტიული პროგრამა,—აი რას შეუძლია მარქსისტის შეურყეველობის გამოცდა.

და აი როდესაც ზოგიერთები, რომელნიც თავის თავს მუშათა ინტერესების დამცველათ თვლიან, „ცხოვრებამ სამოქმედოთ გამოიწვია—მათ რყევა დაიწყეს და ყოველივე გამჭრიახობა დაკარგეს.

მათ ერთობ გააზვიადეს პროლეტარიატის და გლეხ-კაცობის პოლიტიკური მნიშვნელობა დღევანდელ მოძრაობაში და წინ წამოსწიეს პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც იგინი საზოგადოებრივ სიდუხჭირისაგან **ერთათ ერთ** მხსნელათ თვლიან. ისინი მხოლოთ ერთ კარებს ხედავენ თავის წინ და ასე მიმართავენ პროლეტარებს და გლეხებს: ხელი გაუწოდეთ ბურჟუაზიულ კლასებს და ყველა ერთათ, ძმურათ და ბედნიერათ შედით ამ კრებაშო. ამით იგინი, რასაკვირველია, კლასობრივ ბრძოლას აფუჩეჩებენ და პროლეტარიატის თვით შემეცნებას აბნელებენ. ამ გვარათ იგინი წვრილ-ბურჟუაზიის დამცველებათ ხდებიან.

ასეთია ბ. ივ. გომართელიც. რა ნაირათო, იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. რახან ასეა, მივმართოთ მის წერილებს, რომელთაგან პირველი „მოგზაურის“ მე 16 ნომერში დაიბეჭდა, ხოლო დანარჩენი ორი ივერიის 114 და 118 ნომერში იყო მოთავსებული.

თავის პირველ წერილს ბ. ივ. გომართელი მატერიალისტურ შეხედულებაზე ამყარებს (რითაც აიხსნება ამ წერილის „მოგზაურში» დაბეჭდვა). ავტორი ჯერ მოკლეთ განიხილავს, როგორ გადაიქცა მონობა ბატონყმობათ, როგორ მოისპო ბატონყმობა და აღნიშნავს მშრომელთა დაუსრულებელ ბედშაობას და მონურ, დაჩაგრულ მდგომარეობას. დასასრულ ბ. გომართელი სამართლიანი დასკვნით მიმართავს გლეხებს: „შენ თან და თან მიხვედი იმ უტყუარ დასკვნამდე, რომ გაჭირვებულს არავისი იმედი არ უნდა გქონდეს გარდა საკუთარი თავისა (კურსივი ჩვენია). ტანჯვამ და შევიწროებამ შენში განავითარა სულის სიძლიერე, გულის სიმაგრე და სივაჟკაცე. მთელი შენი ცხოვრება, მონობიდან მოყოლებული დღევანდლამდე, მხოლოთ სასწავლებელი იყო, სადაც შენ ერთათ-ერთი მასწავლებელი—ცხოვრება გამზადებდა ბრძოლისათვის, რომ შეგეგნო, თუ როგორ და რა გზით უნდა ბრძოლა ადამიანური ცხოვრებისათვის“ ასე რომ მუდმივ ეკონომიურმა ჰაპანწყვეტამ და უფლება-ართმეულმა არსებობამ მიიყვანა გლეხი იმ შეგნებამდე, რომ აუცილებლათ საჭიროა საკუთრათ გამონახოს თავის მჩაგვრელებთან (მემამულეებთან) საბრძოლველი გზა; რომ ის მხოლოთ თავის ძალღონეს დაემყაროს და ტყუილათ არ ეძებოს რამე გარეშე დახმარება.*) აქედან ცხადია ის ლოღიკური აზრი, რომელიც უნდა დაასკვნას ჩაგრულთა ინტერესების ყოველივე დამცველმა, სახელდობ: ბიუროკრატიასთან საზოგადო ბრძოლის დროს, რომელშიაც ყველა იღებს მონაწილეობას განურჩევლათ კლასთა და წოდებათა, ჩაგრულთ არამც და არამც არ უნდა დაივიწყონ თავიანთ მხსნელებთან ბრძოლა და ვერც დაივიწყებენ რადგან ეკონომიური (მჩაგვრელები) მეტათ საგრძნობელი არიან მათთვის, და გარდა ამისა პოლიტიკური ბრძოლა არის ამასთანავე ეკონომიური ბრძოლაც. მაშასადამე, როცა გლეხები მემამულე-თავადაზნაურობასთან ერთათ მიდიან ბიუროკრატიის წინააღმდეგ, მათ ყოველ ფეხის გადადგმაზე უნდა აგრძნობინონ თავიანთ ექსპლოატატორებს, რომ იგინი ეკონომიურათ გლეხების მტრები არიან, რომ მათ შორის გაუვალი უფსკრულია, როგორც სამართლიანათ შენიშნეს მოგზაურის მე 25 ნომერში მოთავსებული წერილის ავტორებმა („ბ. ივ. გომართელის წერილის გამო“), რომ შეიძლება და საჭიროც არის „**итти врозь, но вмѣстѣ бить**“. ასეთი დასკვნა გამოიყვანა ბ. ივ. გომართელმაც, თუ არა? ვნახოთ. „ივერიაში მოთავსებულ შემდეგ წერილებში (იხ. „ივ.“ №№ 114, 118) ბ. ივ. გომართელი განსაკუთრებით აღნიშნავს პოლიტიკურ მოძრაობის ფრიად დიდ მნიშვნელობას და მაუთითებს რა ყველასათვის ერთ საზოგადო მტერს, ურჩევს გლეხებს დროებით მაინც დაივიწყონ კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობა, გაანელონ ეკონომიური ანტაგონიზმი და მეგობრულათ გაუწოდონ ხელი თავად-აზნაურობას, რომელიც მათსავით დაინტერესებულია „გარეული მტრის“ (ბ. გომართელის სიტყვებია) მოსპობაში, თითქო ეს „გარეული მტრები“ ცხრა მთას იქიდან თავს-ესხმოდენ მათ და თავად-აზნაურობის ე. ი. გლეხების პირდაპირ ექსპლოატატორთა ეკონომიურ ინტერესების დამცველი, იგივე შინაური მტრები არ იყვენ.*)

„ივერიის“ 114 ნომერში ბ. ივ. გომართელი ამბობს: „ძლიერია შენი ეკონომიური მტერი, ის ძირს უთხრის შენს კეთილ-დღეობას. თუ შენ ხშირათ გშია, ბევრჯერ გცივა...,—ამგვარს შენს სილატაკესა და დაბეჩავებაში დიდი წილი უდევს შენს ეკონომიურ მოწინააღმდეგეს (კურსივი ჩვენია). მაგრამ (კურს. ჩვენია) გაცილებით უფრო ძლიერია მეორე მოწინააღმდეგე, საპოლიტიკო მოწინააღმდეგე ანუ ბიუროკრატია“, გამოდის რომ, ამის დაგვარათ გლეხებმა უნდა შეასუსტონ მემამულეებთან ბრძოლა, თვალი უნდა მოიბრმაონ ეკონომიური ანტაგონიზმის წინაშე; ბ. გომართელს სწორეთ ამ გვარი დასკვნა გამოყავს იმავე წერილში: „არ უნდა გაამწვავო (მიმართავს იგი გლეხს) შარაგზის ბრძოლა (კურს. ჩვენია) და არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ თუ მთელი შენი ძალ-ღონე და ყურადღება შინაურ მოწინააღმდეგეს გადაალიე, დასუსტებულსა და ღონე-მილეულს, გარეული მტერი უფრო მძლავრათ ჩაგიჭერს ხელში“... თვალ-წინ ნაციონალ-დემოკრატები ავტონომისტები მიდგანან. ასე ხომ ისინი მიმართავენ ხოლმე ქართველ მუშებს და ეუბნებიან: თუმცა თქვენ და ქართველ კაპიტა-

*) მარა ვინაიდან ამ ბრძოლას ბიუროკრატია კლავდა მუდამ შეძლებულთა ინტერესების დაცვით, რასაკვირველია გლეხები პოლიტიკურ ბრძოლის გზაზე უნდა შემდგარიყვენ.

ავტ.

*) სულ ტყუილათ ირჯება ბ. გომართელი იმის დასამტკიცებლათ, რომ ახლა თავად-აზნ. და გლეხობას უნდა ვუცქეროდეთ არა როგორც წოდებებს, არამედ როგორც კლასებს, რომ როგორც თავ.-აზნ. ერთი ნაწილი ღატაკდება და პროლეტარდება, ისე გლეხთა შორისაც ჩნდებიან მსხვილი მესაკუთრეები. სრული ჰეშმარიტებაა და არავინაც არ ედავება ამაში, ხოლო თუ ზემოხსენებულ წერილის („მოგზ.“ № 25) ავტორებს სწამებს ამას, ასეთი ბრალდება ყოვლათ უსაფუძვლოა. ისინი სრულიად ნათლათ აცხადებენ: „ამ ორ კლასთა შორის უშველებელი ორმოა გათხრილიო“. აქ ისინი თავ.-აზნ. და გლეხებს, როგორც სხვა და სხვა კლასს, ისე, უყურებენ. თავის თავათ ცხადია, რომ, როდესაც ლაპარაკი სოფლის **ეკონომიურ ბრძოლაზეა**, სიტყვა„ თავად-აზნაურები ნიშნავს მყვლეფელ თავად-აზნაურებს, ხოლო სიტყვა „გლეხები“—გაყვლეფილ გლეხებს, ექსპლოატაციის მსხვერპლთ.

ავტ.

ლისტთა შორის კლასობრივი ანტაგონიზმი კი სუფევს, მარა დავიწუოთ კლასობრივი ბრძოლა ნაციონალური ინტერესების გულისთვის, შეუერთდით მათ და გასწით ძმურათ საზოგადო მტერის წინააღმდეგო". სწორეთ ასე მოსდის ბ. გომართელსაც: ასე რომ ბ. გომართელზე ზედ-გამოჭრილია ხალხის ანდაზა: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!".

— მე ხომ მემამულე თავად-აზნაურობას ვეყოფ გაბროლეტარებულ თავად-აზნაურებისაგანო — შეგვნიშნავს ალბათ ბ. გომართელი; მე ხომ უკანასკნელებთან შეერთებას ვურჩევ გლეხკაცობასო. ეს თითქმის მართალია, მარა რაკი ასეა, ნუ დაიზარებთ და წაიკითხეთ „ცნ. ფ." № 2820-ში მოთავსებული წერილი რედაქციის მიმართ ბ. გომართელისა: ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ წერილში ბ. გომართელი მთელ გლეხობას ურჩევს მთელ თავად-აზნაურობასთან შეერთებას, აი თვითონ ის წერილიც:

«ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ალაგი დაუთმოთ ჩემს წერილს თქვენ გაზეთში. ჩემი მეორე წერილი გლეხისადმი ვეღარ იბეჭდება. ამ წერილში მე ვუმტკიცებ გლეხებს, რომ თავად-აზნაურობა არ არის დღეს მისი მტერი, არამედ მტერი სულ სხვაა და ამ საერთო მტრის დასამარცხებლათ თავად-აზნაურობა და გლეხობა უხდა შეერთდენ მეთქი. ჩემი პირველი წერილი-კი ბევრმა მკითხველმა ისე გაიგო, ვითომ მე გლეხობას თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ვაქეზებდე. ამგვარი ქადაგება მე აზრათაც არ მომსვლია; პირველ წერილში მე სრულებით სხვა ვინმე მყავდა სახეში და არა თავად-აზნაურობა. რა აზრისაც უნდა ვიყო წოდებათა ურთ-ერთ დამოკიდულების შესახებ, დღევანდელ დღეს მაინც ერთ წოდებას მოერეს არ მივუსევდი, რადგან ეს იქნებოდა ჩემივე ხელით ჩვენის ხალხის ყელის გამოჭრა და ყალბ გზაზე შეყენება".

თქვენ ეს არ გეგონოსთ მუშა ხალხის მიმართ შემთხვევით გასროლილი ლოზუნგი; არა, ეს არის ჩვეულებრივი ტაქტიკა ისეთი ადამიანისა რომელსაც თავისი თაკი მუშა ხალხის ინტერესების დამცველი გონია და ნამდვილათ კი წვრილ-ბურჟუა დემოკრატის შეხედულებას ვერ გაცილებია. ბ. გომართელი ტიპიური ეს-ერია.

— ეს კი ნამეტანია, ამის თქმა კი შეუძლებელია ივ. გომართლის შესახებო, წამოიძახებს განცვიფრებული მკითხველი, დამტკიცება გნებავთ? ბატონი ბრძანდებით! ღვალი გადაავლეთ ბ. გომართელის წერილის იმ ადგილს, სადაც ავტორი აგრარულ კითხვას ეხება:

„დღევანდელი აგრარულ მოძრაობას მე არ ვაძლევდი და არც ახლა ვაძლევ იმ გვარ მნიშვნელობას, როგორსაც ზოგიერთნი აძლევენ;... სამეოთხედოთ აიღებს თუ სამეათედოთ გლეხი მიწას,... ეს ბევრით ვერაფრით წასწვავს წინ გლეხის ღარიბ ქოხს. სანამ მიწა კერძო საკუთრებათ დარჩება, რაც უნდა ებრძოლოს გლეხი თავად-აზნაურობას, ამით ის საწადელ მიზანს ვერ მიაღწევს — ხსნა მხოლოთ მიწის გასაზოგადოებრივებაშია... დღევანდელი აგრარული მოძრაობა კი მიწის გასაზოგადოებრივებას ვერას გზით ვერ დაამყარებს (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). «იერია» № 118.

ასე რომ ბ. გომართელის აზრით ყოველივე მოთხოვნა, რომელსაც გლეხი მემამულესთან ეკონომიურ ბრძოლის პროგრამაში აცხადებს, როგორც მაგ., «ჩამონაჭრები» — ფუჭე და ამაოა, რადგან ამნაირი ეკონომიური ბრძოლა პირდაპირ სოციალიზმს ვერ დაამყარებს. აი, ნამდვილი ბერნშტეინისებური ფორმულა, მხოლოთ უკუღმა ნათქვამი: „მიზანია ყველაფერი, მოძრაობა კი არაფერი." ასეთ ფორმულას ყოველი ბურჟუა სიამოვნებით მოაწერს ხელს. სოციალიზმის დამყარება ბურჟუაზიულ იდეოლოგებსაც „სწამთ" მარა როცა საქმე მოძრაობაზე მივა, მაშინ იგინი ცდილობენ დაუმტკიცონ მუშათა კლასს, რომ სოციალიზმს დაამყარებს არა შეგნებული ეკონომიური ბრძოლა ანუ კლასთა ბრძოლის გაფართოება, არამედ მშვიდობიანი გზა, ანუ როგორც „იერიის" 114 ნომერში სწერს ბ. გომართელი „გონივრული საშვალება - შეთანხმება" მჩაგვრელთა და დაჩაგრულთა. სრული უმშარიტებაა: დღევანდელი აგრარული მოძრაობა, რომელიც გლეხების ცნობილ ეკონომიურ მოთხოვნილებებზეა დამყარებული, ანაზდეულათ ვერ დაამყარებს სოციალიზაციას, მაგრამ ნუ თუ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, თითქო ყველა ეს მოთხოვნები ფუჭი და ამაო იყოს და მათ დიდი მნიშვნელობა არ ქონდეს კლასობრივ ბრძოლაში; გავს რომ, თუ ჩვენ ასეთ გზას გვერდი აუხვიეთ — ერთ მშვენიერ დღეს მიწის სოციალიზაციას მოვახდენთ ერთბაშათ! ესერების შეხედულებით სწორეთ რომ ასეა და ბ. გომართელიც ეთანხმება ესერებს, თუ რომ ზემოთ ამოწერილ ციტატას ვიქონიებთ მხედველობაში.

ბ. გომართელმა, რახან მას თავის თავი მარქსისტათ მოაქვს, კარგათ უნდა იცოდეს აგრარული პროგრამა, სადაც დღევანდელ აგრარულ მოძრაობის დროს. ყველა ეკონომიური მოთხოვნა ბატონ-ყმური წყობილების მასასპობათაა მიმართული, უმთავრესი მათი დანიშნულება კი კლასთა ბრძოლის თავისუფალი განვითარებაა სოფელში.

ახლა მაინც გრძნობს, ალბათ ბ. გომართელი, რომ ნებსითი თუ უნებლიეთ ესერების და წვრილ-ბურჟუაზიის შეხედულებისკენ გადიხარა იგი, როდესაც გლეხებს თავად-აზნაურობასთან შეერთება ურჩია უახლოეს საზოგადო მიზნის მისაღწევათ. ამით მან ეროინდომა კლასობრივი ბრძოლის შესუსტება, ხოლო კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატის უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენს.

მაგრამ კმარა! ისეც გიჭიანურდა წერილი. შეიძლებოდა კიდევ გვეთქვა ორიოდე სიტყვა აგრარულ კითხვის შესახებ, მარა ამ წერილში ჩვენ გვინდოდა გომართელის წერილთა მიხედვით, ავტორის ნამდვილი სახე გამოგვერკვია მკითხველისათვის, რაც ვგონებ საკმაოთ შევასრულეთ. გამოირკვა, რომ ბ. გომართელი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნის, რომლის მიმართ თამამათ და სამართლიანათ ითქმის: ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

კ. ანდ—შვილი.

რედაქციისაგან.

იმედი გვაქვს, ეს და წინეთ დაბეჭდილი წერილები დაარწმუნებენ ბ. გომართელს, რომ ჩვენსა და მის შორის **ამ შემთხვევაში** სწორეთ პრინციპიალური განსხვავებაა. ვფიქრობთ, საკმაო დრო ქონდა, ჩაკვირვებოდა თავის საქციელს, და ახლა საჭიროა მხოლოთ მცირეოდენი გულახდილობა, რომ თავისი შეცდომა აღიაროს. ყველასათვის აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ბ. გომართელი აცდა იმ მიმართულებას, რომელსაც მაინც არ ეშვება — პარტიაში არსებული უთანხმოებით უნდა ისარგებლოს და მით იმართლოს თავი! მისდა სამწუხაროთ, ამ კითხვაში არავითარი სადავო და საკამათო არ არის მიმდინარეობის შორის, რასაც თვით „მოგზაურში" მოთავსებული ამხანაგების წერილიც ამტკიცებს და უმცირესობა-უმრავლესობისაკენ თავის ქნევა მას არაფრათ გამოადგება. რომელი მიმდინარეობაც უნდა აიღოს ბ. გომართელმა, ამ შემთხვევაში, მის შეხედულებას ორივე უარყოფს, და სჯობს ამ ხერხს თავი დაანებოს და ერიდოს უნებლიე პროვოკაციას!... რაც შეეხება ჩვენი რედაქციის „საქციელს"

(იხ. „ივერია“ № 118), რომელიც „ივერიის“ მკითხველებთან გადააქვს ბ. გომართელს მსჯავრის დასადებად, და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „პირველი შეცდომისათანავე მოღალატეობა *) დავწამეთ“ მას, ჩვენ საუბედუროთ ვკისრულობთ პასუხის მგებლობას და ვეთანხმებით შემომწყრალ ავტორს, რომ იგი მართლაც დამახასიათებელია ჩვენთვის და ასეთიც ჩათვალოს ყველამ, თუნდ ბ. გომართელს მ იკავშირე „ცნ. ფურცელმაც“. დღევანდელ №-ში მოთავსებულ წერილში მოყვანილია ბ. გომართელის მიერ „ცნ. ფურცელში“ დაბეჭდილი წერილი, და ვთხოვთ მკითხველებს, მიაქციონ მას ყურადღება და გვითხრან გულახდილათ—გვქონდა თუ არა ამ წერილის შემდეგ უფლება დაგვედგა თუ არა მოკალეობა, უპასუხით არ დაგვეტოვებია ასეთი ცრუმორწმუნეობა? გვითხრან აგრეთვე, გვაქვს თუ არა უფლება, პირადობის მიხედვით დამიკერძებით დავფასოთ საჯაროთ გამოთქმული აზრები, ნაეტიურ როცა მათში აღარაფერი საქმო არ არის? ჩვენ ყოველთვის **აზრთან გვაქვს საქმე** და მას ვარჩევთ, მიუხედავათ იმისა, გომართელია მისი გამომთქმელი თუ სხვა ვინმე აი, ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით ამ შემთხვევაშიაც, რასაც გულახდილათ ვაცხადებთ **ჩვენი მკითხველის** წინაშე და მზათ ვართ მას მსჯავრს საკუთარი...

ბურჟუა და პროლეტარი **)

(თარგმანი)

გარად ამისა მსხვილი, წარმოების განვითარებასთან ერთათ, როგორც დავინახეთ, გაბატონებულ კლასთა მთელი ჯგუფები პროლეტარიატთა ბანაკში გადადიან, ან არა და თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვის შიში მაინც იპყრობს. ესენიც აღმზრდელ ელემენტებათ ითვლებიან პროლეტართა შორის.

დაბოლოს, იმ ხანებში, როცა კლასთა ბრძოლა თავისს დასასრულს უახლოვდება, ძველი საზოგადოების გაბატონებულ კლასთა გახრწნა იმ ზომამდე მიდის, რომ მას შორდება რამოდენიმე ნაწილი და ემხრობა მომავლის დროშის მატარებელ რევოლიუციონურ კლასს. როგორც ერთხელ თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადადგა და მას შეუერთდა, ისე ახლა ბურჟუაზიის ერთი ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის. სახელდობრ ეს ის ბურჟუა იდეოლოგები არიან, რომლებმაც თეორეტიულათ შეიგნეს მთელი ისტორიული მოძრაობა.

ყველა იმ კლასთა შორის, რომელნიც დღეს ბურჟუაზიას ებრძვიან, მხოლოთ პროლეტარიატი წარმოადგენს ნამდვილ რევოლიუციონურ კლასს, ყველა სხვა კლასები მსხვილი მრეწველობის განვითარებით ეცემიან და ქრებიან; პროლეტარიატს კი ჰქმნის და ავითარებს იგივე მიზეზი.

საზოგადოების საშუალო წრეები—წვრილი ვაჭრები და მრეწველები, ხელოსნები და გლეხები,—ყველანი ებრძვიან ბურჟუაზიას თავისი საშუალო მდგომარეობის შესარჩენათ. მაშასადამე ისინი კონსერვატორები არიან. ეს კიდევ ცოტაა, ისინი რეაქციონერები არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკუღმა დაატრიალონ. და თუ იმათ რევოლიუციონური მეშვენელობა აქვთ, ეს იმდენათ, რამდენათაც მათ პროლეტართა ბანაკში გადასვლა მოელით და რამდენათაც ისინი არა თანამედროვე, არამედ მომავალ ინტერესს იცავენ, რამდენათაც ისინი თავისს შეხედულებას ტოვებენ და ითვისებენ პროლეტარიატის შეხედულებას.

„მუშანუშალების“ პროლეტარიატს, ამ ძველი საზოგადოების დაბალ ნაწილთა დარღვევის ნაყოფს, აქა იქ თან ითრევს ნამდვილი პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა, მაგრამ თავისი ცხოვრების პირობების მიხედვით მეტი მიდრეკილება აქვს თავისი თავი რეაქციონერთა ორგანიზაციას მიყიდოს.

ძველი საზოგადოების ცხოვრების პირობები პროლეტარიატისთვის ახლა სრულიათ აღარ არსებობენ; პროლეტარიატს საკუთრება არა აქვს: იმისი ცოლ-შვილთან დამოკიდებულება არაფრით არა ჰგავს ბურჟუაზიულ ოჯახურ განწყობილებას. თანამედროვე საშრეველი შრომამ, თანამედროვე კაპიტალის ბატონობამ, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, როგორც ამერიკაში ი ე გერმანიაში ერთნაირად დაუკარგა მას ყოველივე ნაციონალური ელფერი. კანონები, მორალი, სარწმუნოება, პროლეტარისათვის მხოლოთ ბურჟუაზიული ცრუ მორწმუნეობაა, რომლის ქვეშაც იმალებიან ესა თუ ის ბურჟუაზიული ინტერესები.

ყოველივე, პროლეტარიატზე წინეთ არსებული კლასები, გაბატონებისათანავე, მოპოვებული მდგომარეობის გასამაგრებლათ, ცდილობდენ საზოგადოება ისეთ პირობებში ჩაეყენებიათ, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ გამდიდრებას. პროლეტარიატს კი მხოლოთ მაშინ შეუძლია სეზოგადო საწარმოოს ძალთა პატრონი გახდეს, როცა ის გაიუქმებს როგორც თავისს საკუთარს, მასთან ყველა თანამედროვე წესებს ქონების შეძენისას. პროლეტარიატს არა აქს-რა გასამაგრებელი, მან, პირიქით, უნდა დაარღვიოს კერძო უზრუნველ-ყოფილობის და გამდიდრების გამაგრებული წესები.

ყველა დღევანდლამდი მოსმდარი მოძრაობა იყო მოძრაობა უმცირესობისა, ან ხდებოდა უმცირესობის სასარგებლოთ. პროლეტარიატის მოძრაობა კი არის დამოუკიდებელი მოძრაობა დიდი უმრავლესობისა, უმრავლესობისავე ინტერესების გასამტკიცებლათ. პროლეტარიატს, ამ დაბალ ნაწილს თანამედროვე საზოგადოებისას, არ შეუძლია მაღლა აწევა და წელში გამართვა ისე, რომ მის ზურგზე ამართული მთელი ოფიციალური საზოგადოება მიწასთან არ გასწორდეს.

პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან ბრძოლა, შინაარსით თუ არა, ფორმით მაინც პირველ ყოვლისა ნაციონალური ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია პირველ ყოვლისა თავისი საკუთარი ბურჟუაზია უნდა დაამხოს.

ამგვარათ პროლეტარიატის განვითარების საზოგადო მსვლელობის დახატვით ჩვენ გავითვალისწინეთ ის, ცოტათ თუ ბევრათ ფარული სამოქალაქო ომი, რომელიც თანამედროვე საზოგადოების სიღრმეში წარმოებს და მივადექით იმ საფეხურს, როცა ეს ომი აშკარა რევოლიუციათ იქცევა და ბურჟუაზიის დამხობით პროლეტარიატის ბატონობის საძირკველი ყრება.

ყველა დღევანდლამდე არსებული საზოგადოებრივი წყობილება, როგორც დავინახეთ, დამყარებული იყო ტანჯულ და მტანჯველ კლასთა წინააღმდეგობაზე. მაგრამ რომელიმე კლასის დასატანჯავათ, საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომელშიაც მას თავისი ტანჯული არსებობის გაგრძელება მაინც შეეძლოს. თავისი მძიმე უღლის მიუხედავათ ყმამ შესძლო კომუნას წევრათ გახდომა ისე, როგორც მოქალაქე, ფეოდალური ძალ-მომრეობის მიუხედავათ, ბურჟუათ იქცა. თანამედროვე მუშა კი, პირ იქით, იმის მაგიერ, რომ მრეწველო-

*) მოღალატეობა პრინციპის ე. ი. შეცდომა, რომლის გასწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია, და ვფიქრობთ, ნუ აყობა გულის წყრომას, მოიკრიბოს მოქალაქობრივი ვაჟკაცობა.

**) იხ. მოგზ. № 26

ბის განვითარებასთან ერთად მაღლა აიწიოს, განვითირდეს, თავისი კლასის არსებობის პირობათა დაბლა ეშვება. მუშა ღატაკდება, და ეს სიღატაკე უფრო სწრაფად ვითარდება, ვინემ სიმდიდრე და მცხოვრებთა რიცხვი. უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია შეირჩინოს თავისი ბატონობა და თავისი არსებობის პირობები გახადოს მთელი საზოგადო წყობილების ხელმძღვანელ ნორმათ. მას არ შეუძლია ბატონობა იმიტომ, რომ თავისს მონას მონურ არსებობასაც უსპობს და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა ეს მონა რომ მან უნდა არჩინოს ის, ნაცვლად იმისა რომ თითონ გამოდიოდეს მონის ხარჯზე. საზოგადოებას აღარ შეუძლია იმის ბატონობის ქვეშ იცხოვროს ე. ი. ბურჟუაზიის ცხოვრება ვერ თავსდება საზოგადოების ცხოვრებასთან.

უმთავრესი პირობა ბურჟუაზიის არსებობა ბატონობისა არის სიმდიდრის კერძო პირთა ხელში მოგროვება და კაპიტალთა შექმნა გამრავლება. კაპიტალის არსებობის პირობა კი არის ნაქირავები შრომა. ეს შრომა დამყარებულია მუშების ურთი ერთ შორის მეტოქეობაზე. მრეწველობის განვითარება, რომლის მატარებელიც არ შეიძლება არ იყოს ბურჟუაზია მუშათა მეტოქეობით დანაწილების მაგივრათ, ამყარებს მუშათა რევოლიუციონურ გაერთიანებას კავშირების საშვალებით. ამ. გვარათ, მსხვილი წარმოების განვითარებასთან ერთად, ბურჟუაზიას ფეხ ქვეშ ეცლება ის ნიადაგი, რომელზედაც ის აწარმოებს და ნაწარმოებს ითვისებს. ბურჟუაზია ქმნის პირველ ყოვლისა თავისს საკუთარ მესაფლავეებს. მისი დამარცხება და პროლეტარიატის გამარჯვება ერთნაირათ აუცილებელია.

(შემდეგი იქნება).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

(შემდეგი *).

ადვილათ შესაძლებელი და დასაჯერებელია, რო ბავშვის აღზრდაში ქალი მეტ უნარსა და ნიჭს გამოიჩენს, რადგანაც ამ მხრივ მას უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე მამაკაცს. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს მასზედ მემკვიდრეობით გადმოსული ნიჭი, ცალმხრივი განვითარების გამო, თან და თან ჭრება და რჩება მხოლოთ ბრმა ინსტინქტათ.

აღმზრდელი უნდა ცდილობდეს აღამაღლოს ბავშვი გონებით გრძნობით, ერთი სიტყვით, გახადოს ის ნამდვილ კაცათ. თანამედროვე კაცი კი წარმოადგენს მეტათ რთულ არსებას, რომლის განვითარება განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება.

აღმზრდელი ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავის მიზანს, თუ რიგიანათ არა აქვს შესწავლილი ფიზიკური და ფსიხიური კანონები, რომლითაც ის ბავშვის აღზრდის დროს უსათუოთ უნდა ხელ-მძღვანელობდეს, გარდა ამისა ის კარგათ უნდა იცნობდეს ბუნებრივს, საზოგადოებრივს და ეკონომიურ პირობებს, რადგანაც ზემოხსენებული კანონები ამ პირობებში მოქმედობენ.

ყოველმა ხელოსანმა, ყოველმა მხატვარმა, კარგათ უნდა იცოდეს იმ მასალის თვისება, რომლისაგან ის რაიმე საგანს აკეთებს; ამასთან უნდა ქონდეს ტეხნიკური მომზადება, რაც საჭიროა მასალის დასამუშავებლათ და საგნის გასაკეთებლათ; ესევე მოეთხოვებათ იმ პირებს, რომელნიც კიდებენ ხელს ბავშვის აღზრდას, მის განვითარებას, მისი ხასიათის, საზოგადოთ, მთელი მისი არსების გადასხვაფერებას.

ჩვენ რომ რაიმე საქმის გაკეთება დაგვჭირდება ვეძებთ მცოდნე პირს, სპეციალისტს.

ბავშვების აღზრდას კი, რომელიც ყოველ საზოგადოებრივ ფუნქციაზე უსაჭიროესია, როგორღაც არ აქცევენ ყურადღებას.

ამ ფუნქციის აღსრულება დავალებული აქვთ დედებს, რომელნიც ვითომ განგეობისაგან იყონ დანიშნულნი თავის „ბუნებრივ მოვალეობის აღმასრულებელათ."

საზოგადოების აზრით, ყოველ ქალს, რომელიც დედათ, გახდა, შეუძლიან ამ ძნელი და მეტათ რთული მოვალეობის შესრულება. კეთილ მოაზრე ფილისტერი ასე ასაბუთებს თავის აზრს:

„ბუნებამ დააჯილდოვა ქალი დედობრივი სიყვარულის ინსტინქტით, რომელსაც აღზრდის საქმეში ვერავითარი ცოდნა ვერ შეედრებაო". ჩვენ დროში, მეტი რომ არა ვთქვა, სირცხვილია ამ ინსტინქტზე ლაპარაკი; ინსტიკტი არის ბრმა და რას სჩადის არ იცის, ის ვერასოდეს ვერ იზამს იმას, რასაც ცოდნა და გამოცდილება. შეიძლება ინსტინქტმა ააცილოს ბავშვს სიგლახე, მაგრამ იგივე ინსტინქტი სიკეთეს ვერ შესძენს მას.

ქალი რომელმაც არ იცის ძირითადი პირობები ბავშის განვითარებისა, რომელიც სრულებით არ არის მოზადებული და არ იცის როგორ წარუძღვეს ბავშვის აღზრდას, რაც საჭიროა მისთვის, რომ ბავშვი ნამდვილ კაცათ გამოვიდეს, არ ვარგა აღმზრდელათ თუ გინდ მეტის-მეტათ უყვარდეს მას თავისი შვილი.

სხვა და სხვა „პოპულიარული სახელმძღვანელოები" დედას დახმარებას ვერ გაუწევენ რადგანაც უმრავლესი დედებისთვის ეს სახელმძღვანელოები მიუწდომელია.

ქალი, რომელიც მუშაობს ქარხანაში ათი თორმეტი და მეტი საათი, ან დილიდან საღამომდის სახლში ტრიალებს, ვერასფერი გზით ვერ შეისწავლის იმ მეტოდებს, რომლითაც ის ბავშვის აღზრდის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს. დედა უკერავს თავის შვილს დახეულ საცვლებს და აძლევს მას საჭმელს—აი რაში გამოიხდება მისი შვილების აღზრდა.

ყველა იმიდან, რაც ზემოთა ვთქვით, შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ბავშვების აღზრდა უსათუოთ საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს; ეს საქმე, მოუმზადებელი ქალების ნაცვლათ, სპეციალისტების ხელში უნდა ჩავარდეს.

ამ შემთხვევაში საზოგადოებამ თავისი უფლება და მოვალეობა უნდა შეასრულოს. ჩვეულების წყალობით რასაკვირველია, ჯერ კიდევ მაგრათ ჩასჭიდებიან პრინციპს, რომელიც ლაღადებს, რომ თვით დედა უნდა იყოს თავის შვილების აღმზრდელი, მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება და ამ მოვალეობას თან და თან აცლის დედას ხელიდან. ყოველ შემთხვევაში, ბავშვების აღზრდა რომ სპეციალისტებს ჩაუვარდეთ ხელში საქმე არ წახდება, რადგანც ეს საქმე დამყარებული იქნება ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე და არა ბრმა ინსტინქტზე. არის კიდევ სხვა, უფრო საპატიო მიზეზი, რომლის გამო ქალს არ შეუძლიან რიგიანათ შეასრულოს ბავშვების აღზრდის საქმე.

ვინც სხვის აღზრდას კიდებს ხელს, პირველ ყოვლისა თვითონ უნდა იყოს აღზრდილი.

ადვილი დასამტკიცებელია, რომ თანამედროვე ქალი ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

იმ არსებას, რომელიც მთელი საუკუნოების განმავლობაში მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელსაც უხმობდენ

*) იხილე „მოგზ." № 26.

გრძნობას, გონებას, სტანჯავდენ ფიზიკურათ, შეუძლიან განა მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებას გაუძლვეს?!

საკვირველი ის არის, რომ როდესაც ქალი ეს გაუნვითარებული არსება, მოითხოვს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას და უფლებებს, მისი ბატონ პატრონი მამა-კაცები არწმუნებენ მას, რომ ქალის საქმე მხოლოთ მომავალი თაობის აღზრდაში მდგომარეობს. როცა ამას ლაპარაკობენ, ძალაუნებურათ შემდეგი კითხვა გებადება თავში: „ბრმას განა შეუძლია ბრმის ტარება?! ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგენი ერთი მხრით მთელ ტომებს წერენ, რომ დაამტკიცონ ქალების განუვითარებლობა, მოუმზადებლობა, ხოლო მეორე მხრით ცდილობენ ამ დაბალ საფეხურზე მდგარ არსებათ დააკისრონ იმისთანა სერიოზული საქმე, როგორიც ბავშვების აღზრდაა; ამას, რასაკვირველია, ქალის „ბუნებრივი დანიშნულებით“ ხსნიან. ამნაირი ლოგიკა, სწორეთ მოგახსენოთ, მამა-კაცის ჭკუას არ ეკადრება.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ მიზეზების გამოკვლევას, რომლის გამო ქალი დღეს ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ცხოვრებასაა ჩამორჩენილი. არც იმ პირობების დაფასებას გამოუდგებით, რომელშიაც ქალი მთელი საუკუნოებით ცხოვრობდა.

ამ წუთში საჭიროა მხოლოთ ქალის ჩამორჩენის და განუვითარებლობის აღნიშვნა, როგორც ფაქტის, რაც ნათლათა ყოფს იმ აზრს, რომ ქალი კარგსა და სასურველ ბავშვების აღმზრდელათ ვერ გამოდგება.

მშობლებიო, აბობს გიოტე, აღზრდიდენ შკილებს, რომ თითონ იყონ აღზრდილნიო, და ეს მართლაც არის.

არავითარი ფასი არა აქვს აგრეთვე იმ აზრს, რომ «ქალის მდიდარი ბუნება» ვითომ ზნეობრიათ ასპეტაკებს ბავშვს.

მომავალი თაობისთვის ქალი ვერ იქნება დღეს სიდამაზის სიმართლის და მშვენიერების მქადაგებლათ, რადგანაც მისი წარმოდგენა სილამაზეზე, სიკეთეზე და სიმართლეზე დამყარებულია ძველ, წარღვნის დროინდელ საფუძველზე. მართლა და ეს შეხედულება მუდმივ, უცვლელ იდეიას ხომ არ წარმოადგენს; ყოველი იდეია-გამოხატულებაა ამა თუ იმ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა. თვითეულ ეპოქას, თვითეულ ხალხს თავის საკუთარი შეხედულება აქვს ზნეობაზე, ხელოვნებაზე და მეცნიერებაზე. ახლანდელ ეპოქაში ჩვენ განვიცდით სასტიკ ბრძოლას, რომელიც არსებობს ძველსა და ახალი დროის იდეათა შორის.

ქალის მორალური შეხედულება და რწმენა შემუშავდა იმ ეპოხაში, როდესაც პატრიახალური ოჯახის არსებობა ჯერ კიდევ ეკონომიურ პირობებს ეთანხმებოდა.

რადგანაც ქალის გონებრივ განვითარებას ხელს უშლიდენ, ოჯახიდან გარეთ გამოსვლის ნებას არ აძლევდენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაფერ ადგილს არ უთმობდენ, ის, რასაკვირველია, ჩამორჩა თანამედროვე ცხოვრებას. ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა ხალხთა შორის ახალი დამოკიდებულება გააჩინეს და, მასთან ერთათ, დაბადეს ახალი შეხედულება ზნეობაზე, რომელიც იმდენათ განირჩევა ძველი შეხედულებისაგან რამდენათ ახალ წარმოების პირობები ძველისგან. ახალი მორალური შეხედულების შემუშავების პროცესი ქალთა შორის მხოლოთ ეხლა დაიწყო.

როგორ შეუძლია ქალს აღზარდოს ბავშვი, რომელიც მხოლოთ ხვალ გახთება მოქალაქეთ და რომელიც, ამიტომ, მომზადებული უნდა იყოს მომავალი უფლებისა და მოვალეობისათვის და არა წარსულისათვის?!

კაცობრიობის ნელი და აუჩქარებელი პროგრესი, სხვათა შორის, იმითიც აიხსნება, რომ მეორე ნახევარი კაცობრიობისა, საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებასთან ერთათ, ვერ ვითარდებოდა, ცხოვრების უკან მიჩანჩალებდა.

ქალის აზრი და შეხედულება ოჯახს არ გაცილებია.

ახალი საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ, ქალი ისევ ისე ძველ, ეგოისტიურ ოჯახის მორალს აღიარებს. ყველა იმისი განთქმული სათნოება, თავდავიწყება, თავგანწირულება და ღრმა-გრძნობიერება,—მისი ოჯახისა და ნათესავებისაგან შემდგარ ვიწრო წრეში ტრიალებს.

ქალი, რომელიც მზათ არის თავის მახლობლებისთვის თავი გასწიროს, ხშირათ მეტის მეტ გულცივობას და ეგოიზმს იჩენს საზოგადოებისადმი. ეს ასეც უნდა იყოს!

ქალი, რომელიც აქამდის საზოგადო ინტერესებიდ გარეშე ცხოვრებდა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, არ იცნობს, და რომ კიდეც იცნობდეს, ვერ შეთვისებია იმ სოციალურ სათნოებას, რომელსაც დღეს თანამედროვე საზოგადოება თხოულობს. ქალების მხოლოთ მცირე ნაწილმა იცის ეხლა რას წარმოადგენს სიტყვა «სოლიდარობა». სხვა ქალებზე უფრო, დაბალი წოდების ქალებს ემჩნევათ ახლა თანამედროვე მორალური განვითარება; იმათ უფრო ახლო წარმოდგენა აქვთ სოლიდარობაზე და ყველა საზოგადოებრივ სათნოებაზე. უფრო რეაქციონულ და ჩამორჩენილ ელემენტს წარმოადგენენ წვრილ ბურჟუაზიის ქალები, რომელთ მორალური შეხედულება ერთ წერტილზე შეჩერებულა, გაქვავებულა და წინსვლა აღარ ღირსებია.

ქალის მორალი დაძველდა, ყველა მისი საზოგადოებრივი თვისებანი უარსაყოფი შეიქმნენ. ქალს, ხშირათ, დიდი ზნეობის პატრონათ მიაჩნია თავი, თუ ის არ იპარავს, არ ატყუებს, კაცს არ კლავს და სხვის სახლ-კარს არა წვავს. ის ძალიან იშვიათათ ასრულებს რაიმე სერიოზულ საზოგადოებრივ საქმეს მაშინაც კი, როდესაც ამ საქმისთვის თავის ინტერესების დათმობაც არა სჭირდება.

საზოგადოთ, ქალი ყოველთვის მზათ არის თავის ოჯახის ინტერესებს საზოგადოებრივი ინტერესები ანაცვალოს; საზოგადოებას, მისი აზრით, არავითარი უფლება არა აქვს მისგან რაიმე მსხვერპლი მოითხოვოს?

ქალის შეხედულება მორალზე ტრიალებს ოჯახში. რაც უფრო მეტს მუშაობს კაცი ოჯახისთვის და ნაკლებს საზოგადოებისთვის, მით უფრო მაღლდება ის ქალის თვალში.

აქედან წარმოდგება ის გულ-გრილობა და, ხშირათ, წინააღმდეგობაც, რომლითაც დედა-კაცი მამაკაცის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას ეგებება.

ქალის აზრით ოჯახი და საზოგადოება წარმოადგენს ორ მოპირდაპირე, მტრულ ძალას და ის კაცი, რომელიც საზოგადო ინტერესებს ოჯახისაზე მაღლა აყენებს მას დამნაშავეთ და სულელათ მიაჩნია.

ამნაირი აზრი და აქედან წარმომდგარი საზოგადოებრივ ინტერესების წინაღმდეგ მტრული განწყობილება არა თუ ეხანხმება მარტო მის შეხედულებას, არამედ მთელ სოციალურ წყობილებას, რომელიც, საზოგადო ინტერესებზე კი არა, კერძო ინტერესებზეა დამყარებული. ეს აიხსნება მითი, რომ ქალი, წინააღმდეგ ახალი ეკონომიური პირობებისა, ისევ ისე ოჯახზეა მიჯაჭვული. იმ უპირატესობას, რომლითაც ქალი ოჯახში სარგებლობს, მოიპოვებს ის საზოგადოებაშიაც, თუ საზოგადოება მისთვისაც სამოქმედო ასპარეზათ გახდება. ახალ მდგომარეობასთან ერთათ სრულებით შეიცვლება მის უფლებაზე და მოვალეობაზე წარმოდგენაც. ქალის ცხოვრებაში

საზოგადოება ოჯახის ადგილს დაიკავებს და კერძო ბედნიერება საზოგადო ბედნიერებას ადგილს დაუთმობს. სანამ ქალი უკუ არ აგდებს თავის დახავსებულ შეხედულებას, სანამ ის არ ამაღლდება გრძნობითა და გონებით და არ შეეთანხმება ცხოვრების ახალ პირობებს, სანამ ის წარმოადგენს რეაქციონულ ელემენტს ოჯახში და საზოგადოებაში, მანამ არ შეგვიძლია ვადიდოთ ის, როგორც „საუკეთესო“ ბავშვების აღმზრდელი. ბავშვები უნდა იზრდებოდნენ მომავლისთვის და არა აწმყოსთვის.

ამიტომ აღმზრდელთა აზრი და შეხედულება ახალ ცხოვრებას უნდა ეთანხმებოდეს.

(დასასრული იქნება).

საოცარი დადგენილება.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ყველა მოელოდა, რომ დადგენილება ირჩეული კომისიის შესახებ იმ ინციდენტის, რომელიც მოხდა ჩემს და კორხანიდის შორის, გახდებოდა საზოგადო კრებაზე საუბრის ხანგრძლივი ბაასისა, მაგრამ საზოგადოება მოტყუებული დარჩა. კომისიის თავმჯდომარის, ექიმის გ. დ. გაბაშვილის სურვილისამებრ წაკითხულ იქნა მხოლოდ დადგენილება კომისიისა და ბაასის ნება კი არავის მიეცა. ეს საქციელი უმაგალითოა. ყოველი კომისიის დადგენილება კამოიწვევს ხოლმე საზოგადო კრებაში ხანგრძლივ ბაასს და ხშირად უგუნებოდ დამთავრებულ იქმნება ხოლმე. ეს დადგენილება რომ ეთვალიერა სამედიტორო სამართალს, მაშინ სხვა იქო, მაგრამ აქ სამედიტორო სამართალს ადგილი არ ქონდა. ამ კრებაზე, რომელზედაც ამირჩია კომისია, მე არ დავსწრებივარ და კომისიის წევრები ამორჩეულ იქნენ კორხანიდის და მის ამხანაგების—სათ. ახნ. სკოლის მასწავლებლების გაგებით. სამედიტორო სამართალი მაშინ იქნებოდა, თუ რომ ნახევარი წევრები მე ამომერჩია, ნახევარი კორხანიდის. ამ შემთხვევაში უბრალო კომისია იქო არჩეული და მისი გადაწყვეტილება საზოგადო კრებას უსათუოთ უნდა გადასინჯნა. ამის გამო კომისიის გადაწყვეტილება **მის კერძო აზრათ უნდა ჩაითვალოს,** რომელიც არც დაუმტკიცებიათ საზოგადო კრებას და არც უარუყვიათ. მაშასადამე საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის და მის შესახებ ყველას უფლება აქვს თავისი მსჯელობა იქონიოს ბეჭდვის საშვალებით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გამოძიების დროს მოწმეებს იმედი ჰქონდათ—საზოგადო კრებაზე შეეკამებინათ თავის ჩვენებას საქმის გამოსარკვევათ. ბევრი იმისთანა ვირი იდავპარკებდა კორხანიდის შესახებ, რომლებიც კომისიის მიერ სრულიათ არ იყვენ მოწვეულნი. მე თვითონ ორჯერ წარვუდგინე წერილობითი მოხსენება კომისიასა, რომ ამ საქმის გადაწყვეტას ნუ დაჩქარებენ, რადგანაც ბროშიურებიდან მოველოდი წერილობითი საშვალებას ჩემის ბრალდების გასამართლებლათ.—კომისიის დადგენილებაზე დიდი გავლენა იქონია ამ გარემოებამ, რომ საზოგადო სკოლის მასწავლებლები ამბობდენ: „კორხანიდის გაშვება ჩვენი გაშვებაც იქნება და ამიტომ ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ მის გასათავისუფლებლათ. მართლაც, კორხანიდის ამხანაგების არავითარი საშვალება არ დაზოგეს თავის და **ვოსტორგოვის მეგობრის** გასათავისუფლებლათ, მაგრამ ეს გათავისუფლება მასწავლებლების გაშვება, დამარცხება იყო, მათი სამუდამოთ სახელის გატეხა იყო. კომისიამ მასწავლებლებსაც გაუსწორა.—ერთი გარეშე მასწავლებელი ამბობდა, მე ვურჩევდი კორხანიდის თავისი სახელმძღვანელო არ გამოეცა არც თარგმანით და არც უთარგმნელათ, რადგანაც ქართველებს აქვს შესაბამი სახელმძღვანელო. რაც შეეხება შეგირდებს, შეგირდები ძალიან ნაკლებათ იყვენ და ნაკვარი კორხანიდის წინააღმდეგ დაბრაკობდა თავ-გამოდებით იცავდენ ბ-ნს კორხანიდის ბ-ნი კარიჭაშვილი, მაჭარაშვილი, ჭუთაიელაძე, ნათაძე და **ვლადიმერ ლორთქიფანიძე**—სათ. სკოლაში მასწავლებლათ ნამეორე, მერე „ცნობის ფურც.“ თანამშრომელი. ესენი ამბობდენ: **„კორხანიდი უუკიდურესი რადიკალია** და პროგრესისტი; ზოგიერთ საკუნებზე კორხანიდი ჩვენზე თავისუფლათ დაბრაკობდა, მაგ. ბურების ომზე... იაპონიის ომზე. ბურებს ძალიან ესარჩლებოდა და კიცხავდა ინგლისელებს“ (,,ნოვოე ვრემია“ და სუვორინიც ესარჩლებოდა ბურებს, მერე?) მასწავლებლები ამბობდენ ჰმაებს და არ რცხვენოდათ. ბ-მა **ილია ფერაძემ** (ებარქიულ. სამოსწავლო რჩევის წევრია) წერილობითი საბუთებით დაამტკიცა, რომ კორხანიდემ შეადგინა სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის ვოსტორგოვის წინადადებით, მთვრველობით და მონაწილეობით.—უველაზე უფრო **დაუმოკიდებული წევრი** კომისიისა ბ-ნი უახახიშვილი არა სთვლის შეცროვილ მასალას საკითხის გადასწუვეტათ კორხანიდის შესახებ; ის არ ეთანხმება კომისიის დასკვნის წევრებს შესახებ ბრალდების სამი მუხლისა, ე. ი. ,,რომ ბ-ნი კორხანიდი ირაღია დეკანოზ ვოსტორგოვისა ხელში, რომ კორხანიდის სახელმძღვანელო ,,ჟივოე სლოვო“ ანტიქველაგოგიურია და რომ ეს სახელმძღვანელო ანტინაციონალურია ქართველებისათვის; ბ-ნი უახახიშვილი სრულიათ ალიარებს, რომ მთავარ კითხვების შეუსწავლელათ ჯერ-ჯერობით ვერ ძალუძს ქუდი დასდოს და სამართალი ბატონ კორხანიდის სასარგებლოთ გადასწყვიტოს.

ამ გვარათ ბ-ნ უახახიშვილს სჯეროთ მიაჩნია ახალი მასალის შეკრება, ამიტომ ყოველი ქართველი, რომელმაც კი რამე ცნობები იცის კორხანიდის შესახებ, ვალდებულია ბეჭდვის საშუალებით გამოაქვეყნოს და მხოლოთ ამის შემდეგ ქართველ საზოგადოებას ექნება სრული შეძლება უტეუარი მსჯელი დაუდგინოს.

დიმიტრი დუმბაძე.

—

P. S. ეს წერილი ,,ცნობის ფურცელმა“ არ დამიბეჭდა, თუმცა შემპირდა კი და რამდენიმე დღე წერილი რედაქციაში გაიჩერა. როგორც მკითხველებმა უწყით, ეს გაზეთი თავგამოდებით იცავდა ცნობილ ვოსტორგოვის ,,მეგობარს“ კორხანიდის და მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს, რომელიც არათერით ჩამოუვარდება დეკიეტის მუნჯურ-მეთოდით შედგენილ წიგნს ქართული სკოლებისათვის. ეს გაზეთი ბეჭდავდა თავის ფურცლებზე ანგარიშებს (ანგარიშები ხელმოწერილი იყო ამ ინიციალით W). სათ.-ახნ. სკოლის კეთების შესახებ და განზრახ ამხანაგებს ფაქტს. ამ გაზეთს ერთი კრინტიც არ დაუძრავს იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდა სკოლის ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე და რომელმაც აიდვა აქ დამწყრე საზოგადოება. მე მოგახსენებთ თვ. სათ.-ახნ. სკოლის მასწავლებლების ზნე ჩვეულებაზე, მათ უზრდელ საქციელზე, ვულურ და მოკრივე ხედვაგებზე,

დ. დ.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 23-го Іюля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.